# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 20 ოქტომბერი. 2023 წ. №118 (9650) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




# იმპიჩმენტიადა ყელში გაგვეჩხირა!

**ვახტანგ ძაბირაძე:**

**ამ იმპიჩმენტით „ოცნებამ“ ზურაბიშვილის ახალი პოლიტიკური ფიგურა შექმნა!**

იხ. 3 გვ.

# მზის და გონების დაბნელება მიჯას „ოფისში“



იხ. 3 გვ.

**ლევან ნიკოლეიშვილი:**



2

## სალომე ტყუის, მან რუსის ჯარის გაყვანის არცერთი დეტალი არ იცის!

**სოსო ცინცაძე:**



4

## დიპლომატია ბაზრობაზე დაუბანელი ხელებით ვაჭრობა არ არის!

## დიდი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა პიკის საათებში მაინც უნდა აიკრძალოს!

6

# გაკვეთილი ჭკვიანი ოკუპანტისა და მშიშარა ქართველებისთვის!..



**2023 წლის სექტემბერი კავკასიაში განსაცვიფრებელი გამოდგა: რეგიონის სამი დე ფაქტო რესპუბლიკიდან ერთმა – ყარაბაღმა არსებობა შეწყვიტა. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღის ყოფილი ავტონომიური ოლქის სამი ათეული წლის წინ დაკარგული ტერიტორია ძალისმიერი გზით დაიბრუნა, სამხრეთ კავკასიაში ორი ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფო რჩება – აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი. საქართველო მათ რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ საკუთარ ტერიტორიებად მიიჩნევს, ხოლო რუსეთი სოხუმისა და ცხინვალის გასახარად – „დამოუკიდებელ ქვეყნებად“.**

მთელი ეს წლები სოხუმი, ცხინვალი და სტეპანაკერტი ერთმანეთის „დამოუკიდებლობას“ აღიარებდნენ, აფორმებდნენ ერთობლივ დოკუმენტებს, ერთმანეთში ვიზიტებს ახორციელებდნენ, ერთად ზეიმობდნენ საკუთარი „გამარჯვებისა“ და „დამოუკიდებლობის“ წლისთავებს. თუმცა წელს ყარაბაღის დელეგაციამ აფხაზი კოლეგებისთვის მილოცვა ვერ მოახერხა და ამას ვეღარასოდეს შეძლებს, რადგან იმ დროს, როდესაც სოხუმში ტრადიციულად აღნიშნავდნენ „აფხაზი ხალხის სამამულო ომში გამარჯვებისა“ და „დამოუკიდებლობის“ მოპოვების წლისთავს, დე ფაქტო პრეზიდენტი სამველ შაჰრამანიანი „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის (არცახის)“ არსებობის შეწყვეტის შესახებ ბრძანებულებას აწერდა ხელს.

საგულისხმოა თავშეკავებულობა, რომლითაც აფხაზეთში მომხდარს გამოეხმაურნენ. როგორც დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ინალ არძინბამ განაცხადა, „ყარაბაღის სიტუაციას აფაზეთთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, თუმცა ეს რეგიონში დაძაბულობის ზრდას უწყობს ხელს“. **„ჩვენ ისტორიული კონტაქტები გვქონდა მთიან ყარაბაღთან და ამ მოვლენებს დიდი ყურადღებითა და გულისტკივილით ვაკვირდებით“,** – დასძინა მან. დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შამბამ კი აღნიშნა, რომ ყარაბაღის პრეცედენტის გათვალისწინებით, აფხაზებს **„განსაკუთრებული სიფხიზლე და ერთიანობა ჰმართებთ“. „უნდა განვამტკიცოთ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა – და დღეს აფხაზეთის ხელმძღვანელობა სწორედ ამითაა დაკავებული, ასევე გავიმყაროთ სამოკავშირეო ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან“,** – ხაზგასმით აღნიშნა შამბამ. და არც ერთი სიტყვა მთავარზე – იმაზე, რომ რუსეთმა ფაქტობრივად „ჩააბარა“ სტეპანაკერტი, რომელსაც 30 წელი უმაგრებდა ზურგს. აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში თავი მოიკატუნეს, რომ ეს „ვერ შენიშნეს“.

იხ. 9 გვ.

# ეს არ უნდა მოხდეს!

4

## გეგმები სამხრეთ კავკასიის „ისრაელიზაციაზე“...



## ლევან ნიკოლეიშვილი:

# სალომე ტყუის, მან რუსის ჯარის გაყვანის არცერთი დეტალი არ იცის!

**კიდევ ერთი „აფერა“, რომელსაც სალომე ზურაბიშვილი ამბობს ეს გახლავთ, რომ თითქოს და მან გაიყვანა რუსეთის ჯარი საქართველოდან. დარწმუნებული ვარ არცერთი დეტალი არ იცის, არ იცის კონფიგურაცია ბაზების შესახებ, არ იცის იმ ადამიანების გვარები, რომლებიც ლამის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში იყვნენ ჩართული რუსებთან და მესამე მხარესთანაც და უკვე მერამდენედ უტეხად იბრალებს იმას, რაც მას არ გაუკეთებია. – წერს ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი სოციალურ ქსელში.**

**„კიდევ ერთი „აფერა“, რომელსაც სალომე ზურაბიშვილი იძახის ეს გახლავთ, რომ თითქოს და მან გაიყვანა რუსეთის ჯარი საქართველოდან. საქმე კი სულ სხვანაირად არის. ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, როგორც ამ პროცესების ერთ-ერთი და არა ერთადერთი მონაწილე. საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს დაიწყო.**

**შედგა ექსპერტთა ჯგუფები ორივე მხრიდან საქართველოდან და რუსეთიდან, რომლებიც აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. საქართველოდან ამ ჯგუფში გახლდათ საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან პრინციპული დიპლომატები, სამხედრო კუთხით გახლდით მე, თქვენი მონა მორჩილი (ჩემს გარდა თითოჯერ მონაწილეობა მიიღო ერთმა გენერალმა და ერთმაც პოლკოვნიკმა). საერთო კოორდინაციას ჯგუფს უწევდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბურდული (ღმერთმა გაანათლოს მისი სული), მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე, ცხონებული რეზო ადამია.**



**მოლაპარაკებები საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობდა როგორც თბილისში ასევე მოსკოვში. 1999 წელს სტამბულში ჩატარდა ეუთოს სამიტი სადაც ფაქტობრივად შეთანხმდა ყველაფერი და გაფორმდა პროტოკოლი და ხელმოწერილი იქნა დანართი. შემდეგ უკვე დაიწყო პროცესი, ბაზების გაყვანის გრაფიკის შესახებ, რა სამხედრო ტექნიკა რჩებოდა და რა გადმოეცემოდა საქართველოს და ასე შემდეგ. ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს ხელი მოეწერა უბრალოდ ბოლო დოკუმენტს.**

**თუ იცის ქალბატონმა ზურაბიშვილმა ეს მცირე დეტალები (დაწვრილებით ცხადია არ დამიწერია), მაგალითად რამდენ ბაზის გაყვანაზე იყო საუბარი, როგორი კონფიგურაციით, რა რაოდენობის ტექნიკა იყო თითოეულ ბაზაზე – თუნდაც ტანკი, რას ითხოვდნენ რუსები სანაცვლოდ, რომელი ქვეყანა თამაშობდა შუამავლის როლს და ასე შემდეგ ...ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი ცოცხალია, მიუხედავად იმისა რომ დღეს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები და გემოვნება გააჩნიათ, არა მგონია, რომელიმემ რუსების ბაზების შესახებ მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით ტყუილი იკადროს და ჩემი ნათქვამი არ დაადასტუროს.**

**ასე რომ, სალომე ზურაბიშვილის როლი საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების გაყვანაში მხოლოდ 1% გახლავთ!“.**

## ირაკლი კობახიძე:

# სალომე ზურაბიშვილმა პავლიკა მოროზოვივით გაყიდა ნიკო ნიკოლაძე



**...განსაკუთრებით მძიმე იყო ის პასაჟი, რომელიც უკავშირდებოდა შვილების თემას. ყველაზე საინტერესო იყო, რომ, მოგვიანებით ვნახე, ის ამას კითხულობდა. შეიძლება, რაღაც წამოგცდეს, როგორც მაგალითად, ანა ნაცვლიშვილს წამოსცდა ორიოდე თვის წინ, მაგრამ ეს იყო დაწერილი ტექსტი, პავლიკა მოროზოვის ტექსტი მას ჰქონდა დაწერილი ქაღალდზე და ამას კითხულობდა.**

**სინამდვილეში, გუშინ თავისი ტექსტით, სალომე ზურაბიშვილი გამოგვეცხადა, როგორც პავლიკა მოროზოვი, რომელმაც გაყიდა ნიკო ნიკოლაძე. ეს იყო ამ ტექსტის ერთადერთი რელევანტური შეფასება...**

* * *

**გუშინდელიდან სალომე ზურაბიშვილი რჩება მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ პრეზიდენტად, როგორც სამადაშვილს, ხაბეიშვილს არ შეუძლიათ არაფრის დაშავება ქვეყნისთვის, ასევე ვერ დაუშავებს ზურაბიშვილი.**

## შალვა პაპუაშვილი:

# საუბარი შეიძლება იყოს არა ზურაბიშვილის და გახარიას ალიანსზე, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ ანტიქართულ კოალიციაზე!



**საუბარი შეიძლება იყოს არა სალომე ზურაბიშვილის და გიორგი გახარიას ალიანსზე, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ ანტიქართულ კოალიციაზე, რომელიც იკვრება მომავალი არჩევნებისთვის, იმაზე, ვინ გახდება და არ გახდება ამ ანტიქართული კოალიციის ნაწილი,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გიორგი გახარიას და სალომე ზურაბიშვილის შესაძლო ალიანსთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხისას განაცხადა.

პაპუაშვილის თქმით, „ნიშანდობლივია ის სახეცვლილება, რომელიც გიორგი გახარიამ და სალომე ზურაბიშვილმა განიცადეს მას შემდეგ, რაც გადავიდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ბანაკში“.

## ყაზახეთის პრეზიდენტი:

# შუა დერეფანს შეუძლია, „ერთი სარტყელისა და ერთი გზის ინიციატივის“ ერთგვარი კონტინენტური ხიდი გახდეს



ყაზახეთის პრეზიდენტმა **ყასიმ-ჟომართ თოყაევმა** ჩინეთში, „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას „შუა დერეფნის“ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

**„ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი შუა დერეფანი სადღეისოდ მრავალი სახელმწიფოსთვის თანამშრომლობის პროექტად იქცა. ეს სატრანსპორტო არტერია, რომელიც აკავშირებს ჩინეთს, ცენტრალურ აზიასა და ევროპას, შეიძლება, გახდეს „ერთი სარტყელისა და ერთი გზის ინიციატივის“ ერთგვარი კონტინენტური ხიდი, რომელიც გაანახევრებს ტვირთის გადაზიდვის დროს და მნიშვნელოვნად შეამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს“,** – თოყაევმა.

**ცნობისთვის: ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, რომელიც ჩინეთში იღებს სათავეს, გაივლის ყაზახეთს, კასპიის ზღვის აკვატორიას, აზერბაიჯანსა და საქართველოს, საიდანაც ზღვით ტვირთები ევროპის ქვეყნებს მიეწოდება.**

ყაზახეთის პრემიერი ბოლოს თბილისს ოფიციალური ვიზიტით მიმდინარე წლის 23 ივნისს სტუმრობდა. როგორც ყაზახეთის პრემიერთან ერთად გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, „ყაზახ კოლეგასთან შეხვედრაზე განხილულ იქნა დაგეგმილი პროექტები, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს ქვეყნებს შორის არსებულ სტრატეგიულ თანამშრომლობას“. მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა „შუა დერეფანზე“ და აღნიშნა, რომ „შუა დერეფანი“ უნდა გახდეს კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი, მათ შორის ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.

**„ასევე განვიხილეთ დაგეგმილი პროექტები, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ სტრატეგიულ თანამშრომლობას. მე აქვე მინდა შევეხო „შუა კორიდორის“ საკითხს, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი იყო და არის.**

**გასული წლის ნოემბერში ჩვენ გავაფორმეთ სამმხრივი მემორანდუმი. ამ პროექტში ჩართული ვართ აზერბაიჯანთან ერთად, საქართველო, აზერბაიჯანი და ყაზახეთი, ვთანამშრომლობთ იმისთვის, რომ ყველა შემაფერხებელი ბარიერი იყოს მოხსნილი და „შუა დერეფანი“ გახდეს კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი, მათ შორის ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის, ჩინეთისთვის, ზოგადად აზიის ქვეყნებისთვის, რომ მეტი ტვირთი წამოვიდეს ამ მარშუტის მეშვეობით „შუა კორიდორში“.**

**ჩვენ გვაქვს კონკრეტული საგზაო რუკა, რომელზეც უკვე შევთანხმდით ყაზახეთთან, ესაა 5 წლიანი გეგმა დაახლოებით, 2027 წლამდე ჩვენ ზუსტად ვიცით, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა თავის მხრივ. ჩვენ ახლა მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვახორციელებთ რკინიგზის მოდერნიზაციის მიმართულებით, რომელიც ძალიან მალე დასრულდება და გააორმაგებს გამტარუნარიანობას ჩვენი რკინიგზის. ჩვენ ასევე გვაქვს სხვა მნიშვნელოვანი პროექტები დაგეგმილი ამ მიმართულებით, ვმუშაობთ ასევე ახალი პორტის მშენებლობაზე.**

**მე ბატონ პრემიერ-მინისტრს პირადად ვაცნობე, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, ააშენოს ახალი პორტი, ღრმაწყლოვანი ანაკლიის პორტი და სამუშაოები დაიწყება წელს, შემოდგომაზე, ოქტომბერში, მთავრობა იქნება მეპატრონე, 51% იქნება საქართველოს მთავრობის და დანარჩენ 49%-ზე ჩვენ ვაპირებთ, გავმართოთ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები“,** – განაცხადა საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა.




# აუჰ, ზურაბიშვილია თუ ლუი მეთოთხმეტე?!

**სალომე ზურაბიშვილმა გუშინ გვითხრა, რომ ის არის სახელმწიფო, ფაქტობრივად, ლუი მეთოთხმეტის პათოსით საუბრობდა,** – ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განუცხადა.

კითხვაზე, რატომ შეიცვალა „ნაციონალური მოძრაობის“ დამოკიდებულება სალომე ზურაბიშვილის მიმართ, რომელსაც ადრე აკრიტიკებდნენ, შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდება სალომე ზურაბიშვილის მაგვარი ადამიანი პრეზიდენტად.

**„ჯაშუში და რეზიდენტი, ეს არ არის მხოლოდ ეპითეტი. ეს, რა თქმა უნდა, არის შეფასება რაღაც ფაქტისა, რომელსაც ცდილობდა მაშინ „ნაციონალური მოძრაობა“. ამიტომ მათი სასაუბროა ეს, იტყუებოდნენ მაშინ, თუ იტყუებიან ახლა.**

**ერთი რამ არის ნათელი, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდება სალომე ზურაბიშვილის მაგვარი ადამიანი პრეზიდენტად, რათა სწორედ ის მიზანი განახორციელონ, რომელიც მათ აქვთ სინამდვილეში. გუშინ ეს ითქვა კიდევაც“,** – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

მისივე თქმით, ეს არ არის სალომე ზურაბიშვილის მხრიდან ერთეული ექსცესი და ის, ზოგადად, ძირს უთხრის ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობის პრინციპებს.



# იმპიჩმენტიადა ყელში გაგვეჩხირა!

**86 ხმა და ერთი წინააღმდეგი – სალომე ზურაბიშვილის** იმპიჩმენტი არ შედგა, ის კვლავ საქართველოს პრეზიდენტია. 5-საათიანი მსჯელობის და დისკუსიის შემდეგ, პარლამენტში კენჭისყრა შედგა. რეგისტრაცია 90-მა დეპუტატმა გაიარა, ქვორუმი შედგა, თუმცა პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი მხოლოდ 86-მა დეპუტატმა დაუჭირა, ერთი წინააღმდეგი წავიდა, სამმა კი თავი შეიკავა. პრეზიდენტის იმპიჩმენტს 100 ხმა სჭირდებოდა. კენჭისყრა ფარული იყო, ამიტომ უცნობია ვინ დაუჭირა და ვინ არ დაუჭირა პრეზიდენტის იმპიჩმნეტს მხარი. ამის შემდგე კი „ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა, რომ მათთვის ზურაბიშვილი პრეზიდენტი მხოლოდ ფორმალურად არის და მას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ლეგიტიმაცია აღარ აქვს. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ისინი პროცესებს დარბაზის მიღმა, პარლამენტის შენობიდან ადევნებდნენ თვალს. პარლამენტში მხოლოდ რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატი იმყოფებოდა.

**პრეზიდენტმა სულ 16 წუთი გამოიყენა და მთელი ამ დროის განმავლობაში, აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ის კონსტიტუციის დამრღვევი არ არის. 16 ოქტომბერს მოსამართლეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი, მისი შეფასებით, კანონის უზენაესობის გამარჯვებად ვერ ჩაითვლება.**

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას სალომე ზურაბიშვილმა ანტიევროპული უწოდა. მან საპარლამენტო ტრიბუნიდან მიმართა დასავლელ პარტნიორებს და მოუწოდა, რომ საქართველოს ახლა მათი მხარდაჭერა სჭირდება. პრეზიდენტმა თქვა ისიც, რომ მხოლოდ ერთი გეგმა აქვს და ეს გეგმა ქვეყნისთვის სტატუსის მინიჭებას უკავშირდება.

**ზურაბიშვილმა ყველა კითხვა უპასუხოდ დატოვა და მმართველი გუნდის კითხვებს არ უპასუხა.**

ირაკლი კობახიძემ პირველი შეფასება კენჭისყრის შემდეგ გააკეთა და არ გამორიცხა, რომ სალომე ზურაბიშვილმა მომავალშიც უხეშად დაარღვიოს საქართველოს კონსტიტუცია.

**– სინამდვილეში ეს სურათი, რაც იხილა საზოგადოებამ სხდომათა დარბაზში, არის იმ ალიანსის ლუსტრაცია, რომელიც არის ჩამოყალიბებული სალომე ზურაბიშვილსა და დანარჩენ რადიკალურ ოპოზიციას შორის. ეს იყო მიზეზი, რატომაც ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე სალომე ზურაბიშვილს უწოდებდნენ აგენტ-ჯაშუშს და ათას უბედურებას, დღეს მხარს უჭერენ მის მიერ თანამდებობის შენარჩუნებას, იმიტომ რომ ისინი არიან ალიანსში ერთად,** – აცხადებს **ირაკლი კობახიძე.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილის არაადეკვატურობიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, ის თავის განცხადებებში კიდევ უფრო რადიკალური გახდეს. აბაშიძე ფიქრობს, რომ ამის შემდეგ ზურაბიშვილი ხელისუფლებას კიდევ უფრო მკვეთრად დაუპირისპირდება.

**– „კობახიძემ პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის მრავალჯერ დამრღვევის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცეს, ამაზე, ალბათ, მმართველ გუნდში და ექსპერტებში დისკუსია იქნება. სალომე ზურაბიშვილი არასახალხო პრეზიდენტია, მან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ლეგიტიმურობა დაკარგა. ის ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში ჩაეწერა, რომელიც პოლიტიკურად და სამართლებრივადაც მარგინალურ ძალას წარმოადგენს. თუ მის პოლიტიკურ გემოვნებაში ჯდება ის, რომ მისი მაგინებელი ძალა ახლა დასაყრდენია, ეს მიუთითებს იმას, რომ ის სრულიად არაადეკვატურია. ან მეორე ვარიანტია, რომ ის ასრულებს „ომის პარტიის“ დაკვეთას, რათა საქართველოში რაც შეიძლება დესტურქციული პროცესები წარიმართოს,** – ამბობს აბაშიძე.

> ## ვახტანგ ძაბირაძე:
> ## ამ იმპიჩმენტით „ოცნებამ“ ზურაბიშვილის ახალი პოლიტიკური ფიგურა შექმნა!



ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას იმპიჩმენტის პროცესით სალომე ზურაბიშვილის საზოგადოების თვალში გაშავება სურდა, თუმცა პირიქით გამოუვიდა. ძაბირაძე მიიჩნევს, რომ ამით მმართველმა გუნდმა ზურაბიშვილს რეიტინგი უფრო მოუმატა. მას მიაჩნია, რომ როცა ზურაბიშვილმა უკრაინის ომის შემდეგ ცალკე თამაში დაიწყო, ის ახალ პოლიტიკურ მოთამაშედ მოგვევლინა.

**– ზურაბიშვილმა ამ წელიწადნახევრის განმავლობაში შეძლო და „ოცნებისგან“ პოლიტიკურად დისტანცირდა. ის სრულიად ახალ მოთამაშედ მოგვევლინა. მართალია, რომ მას არ ჰქონდა დიდი რეიტინგი და ცხადია, „ოცნების“ დახმარებით გახდა პრეზიდენტი, თუმცა ახლა ისევ „ოცნებამ“ ამ იმპიჩმენტის პროცესით, მისგან ახალი პოლიტიკური ფიგურა შექმნა. როცა ზურაბიშვილი „ოცნების“ დღის წესრიგს და პოლიტიკას მიჰყვებოდა, ის არვინ არ იყო. მას საზოგადოებაში, როგორც დამოუკიდებელი ფიგურას ისე არავინ არ აღიქვამდა. ახლა კი ამ დაპირისპირებით ის პრინციპულ ლიდერად ყალიბდება.**

**ადრე თუ მხოლოდ დასავლეთში ჰქონდა მას ნდობა და მხარდაჭერა, ახლა ამ პროცესით მას მხარდაჭერა ქვეყნის შიგნითაც გაეზარდა. ახლა მნიშვნელოვანია, რას გადაწყვეტს. მე ველი, რომ ის უფრო მკაფიო იქნება და კიდევ უფრო დაუპირისპირდება ხელისუფლებას.**

**რაც შეეხება დარჩენილ ერთ წელს და საუბარს იმაზე, უნდა გადადგეს თუ არა ის პრეზიდენტობის თანამდებობიდან, ძაბირაძე ამბობს, რომ გააჩნია, ზურაბიშვილს რა პოლიტიკური გეგმები აქვს. მისი აზრით, თუ ის საქართველოში პოლიტიკის გაგრძელებას ოპოზიციურ ფლანგზე აპირებს, მაშინ უნდა გადადგეს, შექმნას თავისი პარტია, ან რომელიმე არსებულთან გაერთიანდეს. ძაბირაძე მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ის ე.წ. მესამე ძალის პოლიტიკურ ლიდერად ჩამოყალიბდეს. მას მიაჩნია, რომ სააკაშვილს, ივანიშვილს შორის ის უკვე მესამე ადგილას მდგომი ლიდერია, რომელმაც შესაძლოა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.**

**ლიკა ბერიკაშვილი**






# მზის და გონების დაბნელება მიშას „საზოგადოებრივ ოფისში“

**რამდენიმე წლის წინ, სააკაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა გახსნეს. ცერემონია მაშინაც პომპეზურად ჩატარდა. ნაცები იმუქრებოდნენ: აქედან, ამ წერტილიდან დაიწყება პროგრესი და საქართველოს გაბრწყინებაო; ნამდვილი რევოლუციონერებივით, ისე, როგორც მათი იდეური წინაპარი – ლენინი ამბობდა: „ნაპერწკლიდან ცეცხლი ავარდებაო“. მაგრამ რა, იმ დღის მერე, მგონი, მხოლოდ მიშას სიძვის დიაცნი აღებდნენ იმ ჰარამხანა ბიბლიოთეკას...**

**დღესდღეობით მიშას ბიბლიოთეკას გარედან კედლის მჯღაბნელთა შემოქმედება ამშვენებს, რკინის კარს კი შიგადაშიგ ქუჩის ძაღლი მიაშარდავს ხოლმე... ეს არის და ეს. ახლა „საზოგადოებრივი ოფისიო“. თან კარზე ისევ პროვინციული გამოწვევავით დაუწერიათ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.**

ტყუილად არ ვახსენე წეღან ვლადიმერ ლენინი. მის მიმდევრებს იგი დღემდე ცოცხალი ჰგონიათ, წევს ბელადი მავზოლეუმში და მის ნივთებს სასოებით უვლიან.

**სააკაშვილი ფიზიკურად ცოცხალია, მაგრამ მის თაყვანისმცემლებს, როგორც ჩანს, ურჩევნიათ, რომ არ იყოს, ხომ გახსოვთ, ყვიროდნენ კიდევაც, – კვდება-კვდებაო, არადა, კაცი (უფრო ზუსტად – მიშას ჩონჩხი) ბდღვინავს „ვიმვამედში“ და „ბოვშებს“ აკეთებს.**

**ვაი, შენს დედას, უბედურს!**

**პრეზიდენტი, პრეზიდენტიო, გაიძახიან, არადა, 2012 წლის მერე აღარაა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი, მეტიც, ის პატიმარია, თან ავადმყოფი, ძალიან მძიმე ავადმყოფი...**

რაც შეეხება „საზოგადოებრივ ოფისს“, ჩამოუკიდიათ იქ მიშას კოსტიუმ-შარვალი, ქვეშ მიულაგებიათ თეთრი ბოტასები; ვითომ სამუშაო მაგიდის სკამზე კი პიჯაკი გადაუკიდიათ, ცოტაც და მოვა ჩვენი პრეზიდენტი, წამოავლებს ხელს პიჯაკს (აგრილდა უკვე), ჩაიცვამს ბოტასებს დაააყვავებს საქართველოსო.

საქართველოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ მართლა ძირგამომძვრალი ფეხსაცმლით მთავრობაში მოსულმა სააკაშვილმა საკუთარი თავი და ოჯახის წევრები ჩვენს ხარჯზე ნამეტნავად გაამდიდრა. როგორც ამბობენ, რამდენიმე დღის წინ მიშას მომხრეთა თავშეყრის „საზოგადოებრივ ოფისად“ წოდებული „ბუტკის“ საზეიმო გახსნისას, თავის დედიკო გიულის, პროფესორ ქალს, პედაგოგს, 45 000-იანი მოსასხამი (ჯემპრი) ეცვაო...

გასულ კვირას შემთხვევით ჩემს ძველ ნაცნობს შევხვდი, მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი და ძველი ამბებიც გავიხსენეთ: 2012 წელს მაშინდელი ხელისუფლების ოპოზიციის – „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შტაბში ვმუშაობდი დიდი ზეწოლების ქვეშ – მოკვლით მემუქრებოდნენ მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც. დიდ რისკებზე მივდიოდით, რადგან ყველამ ვიცოდით, მაშინდელი ხელისუფლების სარჩევნო შტაბში კაცების გამაუპატიურებლის შტატი არსებობდა და ამ შტატში ის კაცი იყო დასაქმებული, ადრე რომ მაგ საქმით იყო დაკავებული და ხელფასსაც რომ იღებდა. შტაბში ისიც ჩვენსავით ჩვეულებრივად დადიოდა და რასაც ავალებდნენ, აკეთებდაო. სახელი და გვარიც დამისახელა: კაცების ერთ-ერთი გამაუპატიურებელი დ.მ. დღისით მზისით დაუბრკოლებლად, უსირცხვილოდ, ნაციონალების შტაბში მსახურობდაო.

იხ. 5 გვ.

# გეგმები სამხრეთ კავკასიის „ისრაელიზაციაზე“...

**რუსეთ-უკრაინისა და ისრაელი-პალესტინის ომის ფონზე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა კანონმდებლები გააფრთხილა, რომ უახლოეს კვირებში აზერბაიჯანი შესაძლოა სომხეთში შეიჭრას. გამოცემა Politico წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ 3 ოქტომბერს გამართულ სატელეფონო საუბარში, ამერიკელმა კანონმდებლებმა ბლინკენს მოსთხოვეს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის წინააღმდეგ ზომები მიეღო სექტემბერში მთიან ყარაბაღში შეჭრასთან დაკავშირებით.**

**ბლინკენმა მათ უპასუხა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი აზერბაიჯანის ანგარიშვალდებულებისთვის შესაძლო ვარიანტებს განიხილავს და არ აპირებს აზერბაიჯანისთვის დიდი ხნის განმავლობაში არსებული გამორიცხვის გაგრძელებას, რომელიც აშშ-ს საშუალებას აძლევდა ბაქოსთვის სამხედრო დახმარება მიეწოდებინა.**



## ეს არ უნდა მოხდეს!

ბლინკენის ამ განცხადების შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჩამოდის საქართველოში, სადაც ხაზგასმული იქნა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო პროცესში საქართველოს ჩართულობა ყველაზე სწორი არჩევანია. თუმცა, ეს არჩევანი საინტერესო არ აღმოჩნდა სომხეთის პრემიერ-მინისტრისთვის. **ნიკოლ ფაშინიანის** განცხადებით, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ორმხრივი და სამმხრივი მოლაპარაკებების საქართველოში ჩატარების შესახებ წინადადება შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც მცდელობა – ძირი გამოუთხაროს უკვე შეთანხმებულ პრინციპებს.

როგორც ფაშინიანი აცხადებს ახლა სომხეთის და აზერბაიჯანის ლიდერებს შორის ბრიუსელში შეხვედრის ჩატარების საკითხი განიხილება, ხოლო აზერბაიჯანის პრეზიდენტის ინიციატივა, რომ შეხვედრის მოედნის თვალსაზრისით თბილისი იყოს განხილული, მოლაპარაკების პლატფორმის შეცვლას ნიშნავს.

**„გრანადაში ჩატარდა შეხვედრა, სადაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის დარეგულირების პრინციპები ევროკავშირის პლატფორმაზე იყო დადასტურებული. გასაგებია, რომ როდესაც შეხვედრა ბრიუსელში იმართება, საუბარი ამ პრინციპებიდან გამომდინარე უნდა გაიმართოს და ეს პრინციპები, მე ვერ ვიტყოდი, რომ ყველაფერში სომხეთის რესპუბლიკის ინტერესებს შეესაბამება, მაგრამ სომხეთმა ეს პრინციპები გაიზიარა და აზერბაიჯანმაც გაიზიარა ის. ახლა კი, როდესაც ბრიუსელში შეხვედრის საკითხს განვიხილავთ და გვაქვს გარკვეული ჩარჩოები, ხოლო აზერბაიჯანი სხვა პლატფორმას გვთავაზობს, ეს შეიძლება აღქმული იყოს, როგორც აქამდე შეთანხმებული პრინციპების განეიტრალების მცდელობა აზერბაიჯანის მხრიდან“,** – განაცხადა **ნიკოლ ფაშინიანმა.**

ანალიტიკოსების შეფასებით, ალიევის ვიზიტი საქართველოში და **ირაკლი ღარიბაშვილის** ინციატივა საქართველოს შუამავლობით ამიერკავკასიის სამეულის მოლაპარაკებისას ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. საქართველოს მნიშვნელობა მშვიდობის დამყარების გზაზე კავკასიაში უალტერნატივოა და ძალიან დიდ პერსპექტივას ქმნის კავკასიის მომავლისათვის, რადგან მიაჩნიათ, რომ მშვიდობა კავკასიაში ბევრს არ უნდა, ხოლო ამის ალტერნატივა მხოლოდ კავკასიის ნგრევა და ომია.

* * *

ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** თვლის, რომ Politico-ს მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, სადაც საუბარი ეხებოდა რამდენიმე კვირაში აზერბაიჯანის მოსალოდნელ შეჭრას სომხეთის ტერიტორიაზე, რათა კონტროლის ქვეშ აიყვანოს ე.წ. ზანგეზურის 40-კილომეტრიანი დერეფანი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალურად არც ადასტურებს და არც უარყოფს აღნიშნულ კომუნიკაციას, დემოკრატმა კონგრესმენმა ნიუ-ჯერსიდან სოციალურ ქსელებში პირდაპირ დაწერა, რომ აღნიშნულ თემაზე საუბარი შედგა.

**„ამას მოჰყვა საექსპერტო ვარაუდები, რომ ეს ომი შეეხება მთელ სამხრეთ კავკასიას, მათ შორის საქართველოს. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში შედგა ბლინკენის ნახევრად დადასტურებული „წინასწარმეტყველების“ შემდეგ მე-5 დღეს. „ჰამასი“ უკვე ისრაელშია, ღაზას სექტორი – ნანგრევებშია, მაგრამ მოდით, ვივარაუდოთ, რომ ილჰამ ალიევისთვის ზემოაღნიშნული ინფორმაცია უკვე ცნობილია და მის შესახებ ორი ქვეყნის ლიდერს ჰქონდა საუბარი.**

**როგორ გგონიათ, რეგიონის აყვავების პერსპექტივებზე, სტრატეგიულ ეკონომიკურ წინსვლაზე შემაჯამებელი ბრიფინგის მიღმა იმალებოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის მზაკვრული გეგმები სამხრეთ კავკასიის ისრაელიზაციის თაობაზე იმ ფონზე, როცა ქვეყანა 33 წლის შემდეგ თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ზეიმობს? რასთან გვაქვს საქმე? ამერიკელთა სურვილების „მატერიალიზაციის“ მცდელობასთან, ვითარების „ჰამასიზაციის“ მიზნით?“,** – აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**

ანალიტიკოსი გამორიცხავს, რომ ქვეყნის პრეზიდენტს არ სცოდნოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რა საუბარი შედგა ენტონი ბლინკენსა და კანონმდებლებს შორის, რადგან ალიევის ჩამოსვლის და ბრიფინგის მთელი პათოსი ეხებოდა მშვიდობას, სამშვიდობო შეთანხმებას, სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო როლს რეგიონში, მომავლის ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პროექტებს.

**„თითქოს ეს იყო გზავნილი იმ ძალების მისამართით, რომლებიც პროგნოზირებენ სამხრეთ კავკასიაში ვითარების არევას და თითქოს ეს იყო პირდაპირი პასუხი, რომ ნუ ცდილობთ მეგობრებო, არაფერი არ გამოგივათ, ჩვენ სამხრეთ კავკასიაში სულ სხვა ტიპის ამოცანებით ვართ დაკავებული და არანაირ ომს, როგორც არ უნდა გინდოდეთ, ჩვენთან ადგილი არ ექნება. ეს ყველაფერი ამოკითხული იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა დატოვა საქართველო და ამის შემდეგ, მეორე, თუ მესამე დღეს აი, გასკდა ბლინკენის ე.წ. წინასწარმეტყველური განცხადება“,** – აღნიშნა **დავით ქართველიშვილმა.**

პოლიტოლოგი, მკვლევარი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში **თამარ კიკნაძე** თვლის, რომ ერთი არის განცხადებები, მაგრამ მეორეა, რომ ამ ვითარებაში საქართველოს ძალიან პოზიტიური როლი შეუძლია შეასრულოს. რაც შეეხება ბლინკენის ამ განცხადებას, ამბობს, რომ იგეგმება **სტივენ მანის „მართვადი ქაოსის“** თეორია.

**„ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი აქვს აშშ-ს. ზოგიერთ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ როდესაც ამერიკა გავა რეგიონიდან, დატოვებს ამ ქაოსს და რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ისევ მოიკრებს ძალებს, ისევ დაბრუნდება. აი, ეს პრინციპი შეიძლება არსებობდეს. ვხედავთ, რომ ცხელი წერტილებია გარშემო.**

**ვიცი, სომხეთი შეუერთდა რომის სტატუსს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰააგის ტრიბუნალმა გასცა ორდენი ვლადიმერ პუტინის დაპატიმრებაზე, წინააღმდეგობები ძალიან ბევრია. უკანასკნელ ხანს სომხეთი ძალიან მკვეთრად პროდასავლურ პოლიტიკას ახორციელებს, რაც რუსეთის უკმაყოფილებას იწვევს და ძალიან დიდ კრიტიკას, მაგრამ უნდა მოინახოს საერთო ენა.**

**ვხედავთ რაც ხდება მსოფლიოში. ყველგან არის ცხელი წერტილები და ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ სამხრეთ კავკასიაში ასეთი წერტილების გაჩენა ზოგიერთ ძალებს ძალიან უნდათ. მინდა ვიქონიო იმედი, რომ ეს ერთობლივი ძალისხმევა გახდება იმის წინაპირობა, რომ ეს აფეთქება რეგიონში არ იქნება“,** – აცხადებს **თამარ კიკნაძე.**

**თამთა ქარჩავა**



## სოსო ცინცაძე: დიპლომატია ბაზრობაზე დაუბანელი ხელებით ვაჭრობა არ არის!

**ანაკლიასთან დაკავშირებით კონკურენცია იზრდება. ამ ღრმაწყლოვანი პორტის მიმართ არა მარტო ჩინური და შვეიცარიული, არამედ აზერბაიჯანული ინტერესიცაა. თუმცა აზერბაიჯანული აქ ხმამაღალი ნათქვამია, რადგან აზერბაიჯანის ხსენება აპრიორი ნიშნავს თურქულ ინტერესს!..**

საქართველოში ახლახანს ჩამოსულმა **ილხამ ალიევმა** ანაკლიის მიმართ დაინტერესება არ დამალა და განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ანაკლიის პორტი იქნება, თუ ნებისმიერი სხვა მიმართულება.

ამასობაში კი ანაკლიის ნავსადგურის პროექტი კერძო პარტნიორის შერჩევის მეორე ეტაპზე გადავიდა, სადაც ორი კომპანია ლიდერობს: შვეიცარია-ლუქსემბურგის და ჩინეთ-სინგაპურის კონსორციუმი. ორივე მათგანი მსოფლიოში აღიარებულია. თანაც, ჩინეთსა და ევროპას შორის „შუა დერეფნის“ გააქტიურების გათვალისწინებით, საქართველოსთვის, ალბათ, უფრო მომგებიანია ჩინურ და შვეიცარიულ კომპანიებზე არჩევანის გაკეთება.

### „ალიევი როცა ანაკლიის მიმართ საკუთარ ინტერესზე საუბრობს, ეს ნიშნავს, რომ გველაპარაკება ერდოღანი“

ანაკლიის მიმართ ინტერესი ჰქონდა, ასევე, ისრაელს და მეორე ჩინურ ჯგუფს, მაგრამ ისინი მეორე ეტაპზე ვერ გადავიდნენ. რაც შეეხება ამერიკულ კომპანიებს, მათ ანაკლიის მიმართ ინტერესი არ გამოუხატავთ.

რამდენად გამართლებულია აზერბაიჯანის შემოყვანა ანაკლიის საერთაშორისო პროექტში, მით უმეტეს მაშინ, როცა ტენდერი უკვე დასრულების სტადიაშია და საეჭვოა, ახალი პრეტენდენტები დაემატოს?

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი **პაატა გოგოლაშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ აზერბაიჯანი დიდი ხანია დაინტერესებულია ფოთის პორტით, ყულევის ტერმინალით.

**„არ ვიცი, რამდენად დიდი ინტერესი უნდა ჰქონდეს აზერბაიჯანს სატრანსპორტო გადაზიდვების კონტექსტში ანაკლიასთან მიმართებით, რადგან ერთი გზა, რომელიც ააშენა, წესიერად არ მუშაობს. გაუგებარია, რად უნდა კიდევ სატრანსპორტო პორტის კონტროლი, მაგრამ ეს ამბიციები აზერბაიჯანს გააჩნია. ვფიქრობ, ანაკლიასთან მიმართებით არც ჩინელები გვაწყობს, არც აზერბაიჯანელები. ჯერ ერთი, მეზობელს არ შე-**



**ანაკლიაზე თვალი უჭირავს დასავლეთსაც, თურქეთსაც, ჩინეთსაც. რუსეთს საერთოდ არაფრის აშენება არ უნდა ანაკლიის ტერიტორიაზე, თუკი რუსული არ იქნება, მაგრამ რუსული ანაკლია ვერასოდეს ვერ გახდება.**



# მზის და გონების დაბნელება მიშას „საზოგადოებრივ ოფისში“



(მესამე გვერდიდან)

2012 წლის შემდეგ ეს კაცი დაუპატიმრებიათ, ოჯახში 10 და 12 წლის შვილები – გოგო და ბიჭი დარჩენია. გავიდა დრო, გამაუპატიურებელმა სასჯელი მოიხადა, მისი შვილები სტუდენტები გახდნენ და შარშან იმ შავბნელი კაცის უმშვენიერესი და პატიოსანი სტუდენტი ბიჭი თბილისში მამამისის მიერ გაუპატიურებულს მოუკლავს და მტკვარში გადაუგდია. როგორც ხედავთ, სააკაშვილის ბინძური ხროვის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე უცოდველი შთამომავლობა ნაღმივით ფეთქდება, რადგან ცოდვა უკვალოდ არასდროს იკარგება. მამის (და არა პაპის) ნაჭამმა ტყემალმა შვილს (და არა შვილიშვილს) მოჰკვეთა კბილი და მისი უმანკო სიცოცხლეც შეიწირა...

ამას რომ მონაგონს არ ვყვები, თუ შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან, შეგვიძლია მე და ჩემმა ნაცნობმა იგივე გავიმეოროთ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმ საცოდავ ბიჭს უკვე ვეღარაფერს უშველის. სამაგიეროდ, შველას ითხოვს მილიონერი ექსპრეზიდენტი, პატიმარი მიხეილი – ვიღაც სოფიო ჯაფარიძეს და მისნაირებს ახსნევინებს ოფისებს და მომავალ პოლიტიკურ კარიერაზე ფიქრობს მას შემდეგ, რაც უტიფრად გაავრცელა ხმები – ჩამოვშორდი პოლიტიკას, აწი, აღარ გავეკარები, ოღონდ გამათავისუფლეთო!..

კაცმა რომ თქვას, ცოდოა ეს კაცი. მისი შესაძლებლობების მქონე ციხეში კი არა, საავადმყოფოში როგორ ძლებს? ხედავს – წლები გადის და ძარცვით, ღლეტით, ბიუჯეტის ქურდობით, მკვლელობებით და სისხლისღვრით დაგროვილ დიდძალ ქონებას ვერ იყენებს, ვერ ერთობა და ვერ გულაობს მისი ჭკუის ქეიფზე. იმდენად ეგოისტია, დარწმუნებული ვარ, ამ წაღლეტილ ქონებას რომ მისი კანონიერი და უკანონო შვილები გამოიყენებენ და თვითონ რომ ციხეში იქნება, ალბათ, ამის გაფიქრებაც კი ზარავს.






მოკლედ, პატიმარ მიშიკოს თავქარიანმა დედიკომ და მეგობრებმა ავანგარდულ-ავანტიურისტული ოფისი კი გაუხსნეს, მაგრამ რად უნდა მიშიკოს ოფისი, როცა მისი ქონებრივი დეკლარაცია, რომელიც 2012 წლის 16 მაისს შეავსო, ასე გამოიყურება: მას გააჩნია 6820 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი და 97 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი სახლი ყვარელში. მის საკუთრებაშია დაბა გუდაურში 500 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთი. სანდრა რულოვსის სახელზე ქ.თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, 154 კვ.მ. ფართობის ბინა და 164 კვ.მ. ფართობის მანსარდი.

სააკაშვილის ძირითადი საცხოვრებელი სახლი კიევიდან 23 კილომეტრში, ელიტურ სოფელ ლესნიკში მდებარეობს. სოფელს სახელი ტყესთან სიახლოვის გამო ჰქვია და სწორედ ამ ღირსების გამო ეს ადგილი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ლესნიკში ცხოვრობენ ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები.

თვითონ სააკაშვილი ამბობს, რომ სახლი დედამ, გიული ალასანიამ, აუშენა. კიევი, კოსტოლნაიას 7 – ამ მისამართზე სააკაშვილი შინაპატიმრობის გატარებას გეგმავდა.

უკრაინული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, კოსტოლნაიას 7 ისტორიული შენობაა და ამ შენობაში ერთოთახიანი ბინის ფასი ჯერ კიდევ წლების წინ 220 000 დოლარს აჭარბებდა. შეგახსენებთ, ეს ის სახლია, რომლის სახურავზეც სააკაშვილმა ჭიდაობის სცენები რომ გამართა, და ჯიკავ-ჯიკავით რომ ჩამოათრიეს.

უკრაინული ტელეარხები საუბრობდნენ სააკაშვილის გარემოცვაზე, რომლის მთავარ ფიგურად სერგეი ფესენკოს ასახელებდნენ, კაცზე რომელიც წლების წინ ბრალდებული იყო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ **მკვლელობაში. სერგეი ფესენკო ბოლო ხანებში სააკაშვილის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა**. დიდი ხანი არ არის, რაც ის დაპატიმრებული იყო იარაღის უკანონო შენახვის გამო და მისჯილი ჰქონდა 14 წელი, თუმცა მალე გაათავისუფლეს. ცნობილი არ არის ფესენკოს, ანუ, როგორც ეძახიან, „ფრანგულ ბულდოგს“, ვინ მფარველობს და ვისი ძალისხმევით აარიდა თავი 14-წლიან სასჯელს.

ფესენკო ქართველ ჟურნალისტთან სატელეფონო საუბარში ამბობს: **„როდესაც ჩამოვფრინდი საქართველოში, პირველივე თვითმფრინავით გამომიშვეს უკან, მინდოდა ჩემების ნახვა და საქართველოს დათვალიერება. გამომაგდეს. ტერიტორიაზეც კი არ შემიშვეს“...** სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია, ამერიკაში ცხოვრობს.

მაიამის სამხრეთ სანაპიროზე მიშიკო სააკაშვილსაც აქვს საცხოვრებელი სახლი. მაიამის ყველაზე პრესტიჟულ დასახლებაში ბინა არ არის ერთადერთი აპარტამენტი, რომელიც სააკაშვილს ამერიკაში ეკუთვნის.

მან მაიამიში ფეშენებელური აპარტამენტი ბიძასთან თემურ ალასანიასთან კონსულტაციის შემდეგ შეიძინა. საცხოვრებელ სახლს ხედები ოკეანისა და ეზოს მხარეს აქვს. იქ ბინების ფასი მილიონ-ნახევარი დოლარიდან იწყება. მიხეილ სააკაშვილი სხვადასხვა დროს ძვირადღირებულ სასტუმროებში ცხოვრობდა და ისეთ აპარტამენტებში, სადაც ცხოვრებას ნებისმიერი მოკვდავი ვერ შეძლებდა. აშშ-ში გამომავალი გაზეთი „ქარენ თაიმი“ იუწყება: ნიუ-იორკში სულ სამი ადამიანია, რომლებიც ქონების განკარგვის თვალსაზრისით ნდობით აღჭურვილი პირები არიან. აპარტამენტის ზუსტი ღირებულება უცნობია, მაგრამ ფასი მილიონ დოლარს აღემატება. ბინა „დაბლიუ ოტელის“ მესამე სართულზეა. ეს ძალიან პოპულარული შენობაა, სადაც, ასევე, აქვთ შეძენილი აპარტამენტები რამდენიმე ადამიანს ყოფილი საბჭოთა სივრციდან. მათ გარდა ბინების მფლობელები არიან ლათინური ამერიკის ქვეყნების მოქალაქეებიც. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, ფულის წარმომავლობის ახსნა არ შეუძლიათ. ასეთი უძრავი ქონების გამო რამდენიმე სკანდალიც იყო, რადგან ამერიკის სამართლებრივი სისტემა ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდება ასეთ ტრანზაქციებს...

ფლორიდა ის ადგილია, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ბევრი ფული ჩადის. სააკაშვილის და მისი ოჯახის ქონება სწრაფი გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ის 2003 წელს ვარდებით მოვიდა საქართველოს ხელისუფლებაში.

სააკაშვილის მამის ხელში აღმოჩნდა ბალნეოლოგიური კლინიკა, დედა უზარმაზარი უნივერსიტეტის მფლობელი გახდა, რომლის ღირებულება მაშინ 2 000000 დოლარი იყო. სააკაშვილის გარდა საქართველოს ხელისუფლებაში გამოხეული შარვლებით მოსული პირები რომ უსასრულოდ გამდიდრდნენ და საზღვარგარეთ და საქართველოშიც ფუფუნებაში ცხოვრობენ, მავნებლურ ტელევიზიებს ხსნიან და ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს ობიექტებს ფლობენ, ეს ცნობილია, მაგრამ ნახეთ, ზოგიერთ მათგანს მძარცველი მიშას ერთგულებისთვის რა ჯილდოები აქვთ მიღებული. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო ქონება 1 ლარად გადაეცა თბილისის მერს გიგი უგულავას და მისი ძმის ირაკლი უგულავას კომპანიას – შპს „ჯეო ლენდი“, სააკაშვილის მიერ სახელმწიფო ქონება 1 ლარად გადაეცა შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს უფროსს მეგის ქარდავას ძმას ლევან ქარდავას. ეს ის მეგის ქარდავაა, რომელზეც სააკაშვილმა ბრძანა, საერთოდ არ მახსოვს ვინ არის მეგის ქარდავაო...

**რაც ამ წერილში წარმოგიდგინეთ, თუნდაც მხოლოდ ამის გამო უნდა იჯდეს სააკაშვილი უვადო პატიმრობით საპყრობილეში!.. ზოგიერთები კი გაიძახიან, პიჯაკების გამო ზის ყოფილი პრეზიდენტი საავადმყოფოშიო (და არა ციხეში) და იმ „სამარიაჟო“ ოფისში, ახლა რომ გახსნეს, სიმბოლურად, ვინ იცის, ვისი ძველი კოსტიუმები ჩამოჰკიდეს.**

**წარმოსახვითი ოფისი კი არა კვახი, ნაცმოძრაობაში ვინმეს საღი აზროვნება თუ შეგრჩათ, გამოაფხიზლეთ ეს ავანტიურისტი სააკაშვილი, გამოაფხიზლეთ და კახურად გაულაწუნეთ, თანაც ყოველ დილა-საღამოს!.. ეგება სინანული მაინც იგრძნოს...**

**ირანდა კალანდაძე**

---

**იძლევა ჩააბარო შენი სტრატეგიული ობიექტები, მეორე, ჩინეთის შემოყვანაც ანაკლიაში სახიფათოა, გამოდის, რომ ჩინეთს უშვებ საქართველოში, ანუ ამხელა აქტორს, რომელიც არ არის დემოკრატიული, შემჩნეულია კორუფციაში, მოსყიდვაში, გავლენებში“**, – აცხადებს **კახა გოგოლაშვილი**.

არც აზერბაიჯანს არ უნდა მივცეთ მთლიანად ანაკლიაში იმხელა წილი. აზერბაიჯანს შეუძლია ინვესტიცია ჩადოს ანაკლიაში, მაგრამ საკონტროლო პაკეტის მიცემა აზერბაიჯანისთვის არ შეიძლება.

* * *

პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძის** შეფასებით, ალიევი როცა ლაპარაკობს, ეს ნიშნავს, რომ გველაპარაკება ერდოღანი, ვამბობთ ალიევს, ვგულისხმობთ ერდოღანს. რასაკვირველია, ერდოღანს აწყობს ანაკლიის პორტი, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უკეთესია ამ საქმეში სტაბილური ქვეყანა ჩავრთოთ, როგორიც შვეიცარიაა.

სოსო ცინცაძის განმარტებით, ნავთობის გამო ალიევს ჯერჯერობით იტანს ცივილიზებული მსოფლიო, მაგრამ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებები, დემოკრატია, თანამდებობის გადაცემის მემკვიდრეობითობა დასავლეთისთვის მიუღებელია. ჯერ თვითონ ილხამ ალიევი ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე გამოაცხადა მემკვიდრედ თავისი შვილი, რასაც, რასაკვირველია, დასავლეთი არ მოიწონებს.

**„ცხადია, გაცილებით უკეთესია ჩინური ინვესტიცია ანაკლიასთან მიმართებით. ანაკლიაზე თვალი უჭირავს დასავლეთსაც, თურქეთსაც, ჩინეთსაც. რუსეთს საერთოდ არაფრის აშენება არ უნდა ანაკლიის ტერიტორიაზე, თუკი რუსული არ იქნება, მაგრამ რუსული ანაკლია ვერასოდეს ვერ გახდება. დიახ, ოჩამჩირე არის რუსული, მაგრამ ოჩამჩირე სულ სხვაა, ოჩამჩირეში საბჭოთა კავშირის დროს ძალზე ძლიერი წყალქვეშა ფლოტის ბაზა იყო, მაშინდელი ინფრასტრუქტურა ოჩამჩირეში შემონახულია, რუსეთი ახლა ამის რეაბილიტაციას აპირებს და სამომავლოდ სევასტოპოლის დუბლი იქნება ოჩამჩირე. ანაკლია სულ სხვა არის, პირველ რიგში, ანაკლია უდიდესი ეკონომიკური დატვირთვისაა.**

**თუნდაც იმავე რუსულ ბაზებს ოჩამჩირეში ფული მიაქვთ, მათი შენახვა ფული ჯდება, ანაკლიამ კი ფული უნდა შემოიტანოს, ოჩამჩირეს ფული მიაქვს, ანაკლიას ფული შემოაქვს. ასე რომ, აზერბაიჯანი თურქეთის პოზიციასაც ახმოვანებს ანაკლიასთან მიმართებით და დღეს ამის გამო დელიკატურ მდგომარეობაშია ჩვენი მთავრობა. თუ ალიევს უნდა, ფეხი ჩადგას ანაკლიაში, ჩვენც უნდა შევევაჭროთ და, როგორც მინიმუმ, სადაო ტერიტორიების, დავით გარეჯის და სხვა ადგილების საკითხი გადავწყვიტოთ.**

**დიპლომატია რა არის? თეთრი ხელთათმანებით, ირმის ტყავისგან შეკერილი ხელთათმანებით ვაჭრობა, ის კი არა, ბაზრობაზე დაუბანელი ხელებით რომ ვაჭრობენ... ვნახოთ, როგორ გამოიყენებს საქართველოს ახლანდელი მთავრობა ამ შესაძლებლობას“**, – აცხადებს სოსო ცინცაძე.

**მანანა ნოზაძე**

**თუ ალიევს უნდა, ფეხი ჩადგას ანაკლიაში, ჩვენც უნდა შევევაჭროთ და, როგორც მინიმუმ, სადაო ტერიტორიების, დავითგარეჯის და სხვა ადგილების საკითხი გადავწყვიტოთ!...**



# თბილისის მთავრობის მორიგი სხდომა

**თბილისის მერიაში 18 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.**

მისი თქმით, თბილისის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა „მზიურის" მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მუნიციპალიტეტმა დაიბრუნა, რეკრეაციული სივრცე მოაწყო.

**„მზიურის" პარკის მიმდებარე ტერიტორია წლების განმავლობაში კერძო საკუთრებაში იყო. მუნიციპალიტეტმა ადგილმონაცვლეობა განახორციელა და ეს ტერიტორია თბილისელებს დაუბრუნდა. ჩვენ მოსახლეობას დავპირდით, რომ ამ ტერიტორიაზე რეკრეაციულ სივრცეს მოვაწყობდით. სამუშაოები უკვე დასრულებულია. შედეგად „მზიურის" პარკის ტერიტორია 2.5 ჰექტრით გაიზარდა.**

თბილისის მერმა ისაუბრა კიდევ ერთი ახალი რეკრეაციული სივრცის შესახებ, რომელიც გლდანის რაიონის გამგეობამ მოაწყო.

**„გლდანის მესამე მიკრორაიონში, დაახლოებით, 1 ჰექტარ ფართობზე გლდანის რაიონის გამგეობამ პარკი მოაწყო. აქამდე ამ ტერიტორიაზე მძიმე მდგომარეობა იყო. ჩვენ ადგილობრივებს დავპირდით, რომ ამ ყველაფერს მოვაწესრიგებდით. პროექტის ფარგლებში მოეწყო ბავშვთა გასართობი ზონები, მოსასვენებელი პავილიონები, კალათბურთის მოედანი, ველობილიკი და ფიტნეს სივრცე. ასევე, სკვერში დამონტაჟდა გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, განთავსდა სხვადასხვა ტიპის საპარკო ინფრასტრუქტურა.**

**მინდა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს და თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო ამ პროექტის განხორციელებისთვის",** – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

ასევე, კახა კალაძე გამოეხმაურა დიდი ლილოს ნაგავსაყრელის მდგომარეობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს და პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ გეგმაზე ისაუბრა.

**„დიდი ლილოს მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონზე არსებული მდგომარეობასთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა პროტესტი, გულისწყრომა და მინდა, ამ ადამიანებს განვუმარტო, რას გეგმავს დედაქალაქის მერია. ვიცი, რომ ჩემი მოადგილეები შეხვდნენ მოსახლეობას და ამ ადამიანებმა გაიგეს ყველაფერი, რისთვისაც მინდა მათ მადლობა გადავუხადო.**

**დედაქალაქი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ხელშეწყობით, აქტიურ ფაზაში გადავიდა დიდი ლილოს პოლიგონზე გაზშემკრები სისტემის მოსაწყობად, რაც დაგვეხმარება, დავაკმაყოფილოთ 2014 წელს გაფორმებული ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით დაკისრებული გარემოსდაცვითი ვალდებულება. აღნიშნული პროექტი მოიცავს ნარჩენების განსათავსებელი უჯრედების საბოლოო გადახურვასა და უკვე მოქმედი თუ დახურული უჯრედებიდან მეთანის გაზის შეგროვებას.**

**EBRD-მ დედაქალაქს დაუქირავა საერთაშორისო საკონსულტაციო და საინჟინრო კომპანია Enviroplan S. A., რომლის კონსულტანტებმაც ევროპული სტანდარტების შესაბამისად ჩაატარეს ყველა საჭირო კვლევა. კომპანია მიმდინარე წლის დეკემბერში დაასრულებს პროექტზე მუშაობას, რომლის საფუძველზეც გამოცხადდება გაზშემკრები სისტემისა და გაზის უტილიზაციის შესახებ ტენდერი, საერთაშორისო წესებისა და პირობების დაცვით. ტენდერის დასრულების შემდეგ კი, დაიწყება პროექტის განხორციელება",** – განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ ნარჩენების სეპარირების მიმართულებით ის კონკრეტული პროექტებიც დაასახელა, რომლის განხორციელებაც ლილოს პოლიგონზე იგეგმება.

* * *

მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ ვარკეთილის დასახლებაში, კალოუბნის ქუჩის №18-ში 3-სართულიანი ავარიული საცხოვრებელი სახლის ნაცვლად, 10-სართულიანი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კორპუსი აშენდება.

როგორც თბილისის მერმა აღნიშნა, სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიად შპს „ბიქეი კონსთრაქშენი" გამოცხადდა.

**„ამჟამად, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი დასრულებულია. მომდევნო ეტაპზე, პერიმეტრის დახიმინჯება და ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის საძირკვლის მოწყობის სამუშაოებია დაგეგმილი. ოჯახებს, რომლებიც ქირით ჰყავს მუნიციპალიტეტს გაყვანილი, დავაბრუნებთ გარემონტებულ, თანამედროვე საცხოვრებელ სახლებში. ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსში გარემონტებული ბინა 29 ოჯახს გადაეცემა".**

ამასთან, დედაქალაქის მერმა ისაუბრა ზვიად გამსახურდიას სახელობის მარჯვენა სანაპიროს შესახებაც, კერძოდ იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასრულდა.

**„იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორია, ფაქტობრივად, ჩაბნელებული იყო. პროექტის ფარგლებში, მშრალი ხიდიდან ბარათაშვილის ხიდამდე მონაკვეთში და ბარათაშვილის ხიდიდან ჩამომსვლელ პანდუსზე, გარე განათების ახალი ქსელი მოეწყო და თანამედროვე LED სანათები დამონტაჟდა. გარდა ამისა, საჰაერო ქსელები მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდა. ტროტუარი მოწესრიგდა და განახლდა. აქამდე აქ ფეხით გავლაც შეუძლებელი იყო. იუსტიციის სახლის მიმდებარედ არსებულ თავისუფალ სივრცეში გზაგამყოფი გამწვანებული კუნძული მოეწყო და დაირგო ხე-მცენარეები",** – აღნიშნა კახა კალაძემ.

* * *

თბილისის მერმა მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბრისას გმირთა მოედნის განახლების საკითხიც დააანონსა.

**„მინდა, ჩემს მოადგილე ირაკლი ბენდელიანს გმირთა მოედნის მოწესრიგება დავავალო. აქ ჯერ კიდევ არსებობს საბჭოთა კავშირის დროინდელი განათების ბოძები, ყვითელი განათებებით, ჰაერში გადაჭიმული კაბელებით. აღნიშნული მოედანი მთლიანად განახლებას საჭიროებს. განათების სისტემები მოსაწესრიგებელია და უნდა დავამონტაჟოთ თანამედროვე LED სანათები",** – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

ასევე, კახა კალაძემ ისაუბრა აპლიკაცია „ფიქს თბილისის" შესახებაც და აღნიშნა, რომ პროექტის ამოქმედებიდან დღემდე, პროგრამაში 5 638 მიმართვა დაფიქსირდა, საიდანაც 2 434-ზე რეაგირება უკვე მოხდა. სხდომის დასასრულს, კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობაში საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას გოგი ჩიქოვანი უხელმძღვანელებს. მან წარმატებები უსურვა გოგი ჩიქოვანს და მადლობა გადაუხადა ლაშა მაჭავარიანს, რომელიც ამ დრომდე იკავებდა აღნიშნულ პოზიციას.



# დიდი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა პიკის საათებში მაინც უნდა აიკრძალოს!

**კვლევების საფუძველზე ირკვევა, რომ წელიწადში რიგით თბილისელს 240 საათის გატარება უწევს საცობში. ეს ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში 10 დღე მანქანების გრძელ რიგებში იკარგება. დედაქალაქის მერიამ ქუჩების გამტარუნარიანობის გასაზრდელად ახალი ინიციატივა წარმოადგინა, რომელიც ჯერ კიდევ მიღებული არ არის.**

გადატვირთულ მოძრაობას და საცობებს თითქმის ყველა ქვეყანაში შევხვდებით, თუმცა ამ მხრივ საქართველო ლიდერობს. არასამთავრობო ორგანიზაცია „12 სართულის" კვლევაში ნათლად იკვეთება, რომ თბილისში მცხოვრები ადამიანი თავისი ცხოვრების 10 დღეს ფუჭად საცობში კარგავს. თბილისში მგზავრობისას ადამიანს თვეში მინიმუმ 20 საათის, წელიწადში კი 240 საათის გატარება უწევს საცობში, იმის გათვალისწინებით, თუ გზაში მინიმუმ 1 საათი ფერხდება.

**ევროკავშირის სახელმწიფოთა დედაქალაქებში ეს რიცხვი 10-ჯერ ნაკლებია. მაგალითად, ამსტერდამში წელიწადში 30 საათი დგანან საცობში, ბრატისლავაში – 29, პრაღაში, ბუდაპეშტში და ჰელსინკში – 24, ხოლო ლისაბონში – 22 საათი. შედარებით რთული ვითარებაა 3-მილიონიან რომში. იქ მძღოლები და მგზავრები წელიწადში 165 საათი დგანან საცობში, რაც თბილისზე 75 საათით ნაკლებია.**

ქალაქის მერის **კახი კალაძის** აზრით, საცობებს ქმნის, როგორც ავტომობილების გაზრდილი რაოდენობა, ასევე დიდი სატვირთო მანქანები. ამიტომ ბიზნესსექტორთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, პიკის საათებში დიდი გაბარიტების მქონე ავტომობილების გადაადგილება შეიზღუდოს.

**„თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე აიკრძალება №3, №2 და №3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, 08:00-11:00 საათებში და 17:00-20:00 საათების შუალედში. ამასთან, მანქანების მოძრაობა აიკრძალება არა მთელი ქალაქის მასშტაბით, არამედ მხოლოდ ქალაქის გარკვეულ ტერიტორიაზე, იმ მონაკვეთებში, სადაც პიკის საათებში დიდია ნაკადები და გადაადგილება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მოხდება ორგანიზება, რომელმა სექტორმა რომელ საათში უნდა იმოძრაოს, რომ ყველამ ერთად არ მოიყაროს თავი.**

**ეს შეზღუდვა არ იმოქმედებს შაბათს და კვირას, ასევე აგვისტოში. ეს თვე იქნება გადაადგილებისთვის თავისუფალი, რადგან, როგორც წესი, ამ პერიოდში ქალაქი შედარებით თავისუფალია, მოსახლეობა გადის დასასვენებლად და ამიტომ, გამონაკლისი შესაძლებელია",** – განაცხადა კალაძემ.

ამასთან, რეგულაცია არ შეეხება საგამონაკლისო შემთხვევებს, რაც აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებებთან არის დაკავშირებული.

როგორც საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე** მიიჩნევს, საცობები სხვადასხვა გარემოებების გამო ჩნდება, რაც ჩვენს ქვეყანაში მრავლად არის. პრობლემის მოსაგვარებლად კი, ამ საკითხებზე მუშაობა მუდმივად უნდა მიდიოდეს და არა ფრაგმენტულად.

**„თბილისში პრობლემა არის სხვა უბნებთან დაკავშირება. აქამდე უბნებს ჰქონდა დამაკავშირებელი, ფართო გზები. ეს ყველაფერი როგორც იყო გათვლილი, ისე უნდა დარჩენილიყო, რადგან ის გზები (რაც ახლა უკვე შეიცვალა) ერთგვარი ხიდები იყო. არსებული კაპილარების დავიწროება, რა თქმა უნდა, პრობლემას ქმნის.**

**ჩვენი ტერიტორიული მოწყობა, სხვა ქვეყნებისგან განსხვავდება. თუ გერმანელი სამსახურთან ახლოს იქირავებდა ბინას, ჩვენთან ასე არ ხდება. შეიძლება ერთ კონკრეტულ უბანში ცხოვრობდე, მაგრამ ხუთი უბნით შორს მუშაობდე, რის გამოც მუდმივი გადაადგილება გიწევდეს.**

**ბუნებრივად ისეთი მოწყობა აქვს ჩვენს ქალაქს, რომ ვერანაირი საზოგადოებრივი ტრანსპორტი ვერ უზრუნველყოფს ამდენი უბნის კომფორტულ და დროულ გადაკვეთას. ამის გამო, მანქანა ყველაზე კომფორტულ ტრანსპორტად რჩება და დარჩება მომავალშიც. ყველა ამ არსებული ფაქტორის გათვალისწინებით უნდა აეწყოს ქალაქი",** – აღნიშნა მელაძემ.

დედაქალაქის მერიას ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. კახა კალაძის ინფორმაციით, **საზოგადოებას მომდევნო დღეებში მიაწვდიან დეტალურ ინფორმაციას, თუ რა გადაწყვეტილებამდე მივლენ მუნიციპალიტეტში. იმ შემთხვევაში, თუ ახალი წესი ამოქმედდება, შეზღუდვა შეეხება დღის შემდეგ მონაკვეთებს – 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედს.**

**ბექა დანელია**

## ირაკლი კობახიძე:
# „მაუწყებლობის შესახებ" კანონი ვისაც არ მოსწონს, ევროკავშირს ელაპარაკოს!

**„მაუწყებლობის შესახებ" კანონში ცვლილებების მიმართ არავითარი პოლიტიკური ინტერესი არ გვაქვს, არის ევროკავშირის დირექტივა, რომელიც სრულდება,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა. კობახიძის თქმით, რეგულაციები თავიდან-ბოლომდე ევროკავშირის დირექტივას ეფუძნება.

**„კანონპროექტი გაგზავნილია ევროკავშირში, ვარიანტებიც შევთავაზეთ. სამიდან ერთ-ერთ ვარიანტს თითი დაადეს და მას ვიღებთ, დამთავრებული ამბავია. უხამსობაზე ჩანაწერი ძველია და რჩება, როგორც მოქმედებდა წარსულში, ასევე იმოქმედებს დღესაც. კულტურის საქმე რაც არის, ამაში არ ვერევით. პროექტის დეტალებიც კი არ ვიცი, კენჭისყრამდე გავეცნობი და რატომ? – არავითარი პოლიტიკური ინტერესი ცვლილებების მიმართ არ გვაქვს, არის ევროკავშირის დირექტივა, რომელიც სრულდება. ევროკავშირის არჩევანი იყო ჯერ თვითრეგულირება და შემდეგ კომისია.**

**სამიდან ეს ვარიანტი აირჩიეს. ვუთხარით, რასაც გვეტყვით, იმას გავაკეთებთო. ვინმეს ეს კანონპროექტი თუ არ მოსწონს, ევროკავშირს უნდა ელაპარაკოს. ჩვენ არავითარი პოლიტიკური ინტერესი არ გვაქვს. რაც შეეხება სიძულვილის ენის დეფინიციას, მაქსიმალურად ვიწროდ არის ჩამოყალიბებული, რომ ინტერპრეტაცია არ მიეცეს. თუ ვინმეს კანონპროექტი მაინც აშფოთებს, ევროკავშირს უნდა ესაუბრონ. სიძულვილის ენაზე ვიწრო გაგებით არის საუბარი",** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## შალვა პაპუაშვილი:
# კანონს ვინც ეწინააღმდეგება, ის მხარს უჭერს სიძულვილს, ტერორიზმს, უხამსობას?!

**„მაუწყებლობის შესახებ კანონს" რაც შეეხება, უხამსობაც, სიძულვილის ენაც, ტერორიზმიც, ეს ყველაფერი წერია უკვე კანონში, ეს მოქმედი კანონია, ერთადერთი, რაც ევროკავშირის ინსტრუქციის და მოთხოვნის შესაბამისად შეიცვალა და ემატება, არის ის, რომ თუ აქამდე ამ საკითხებში გასაჩივრება იკეტებოდა მაუწყებლობით, ასევე, დაემატება სასამართლო ინსტანცია,** – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

**„თქვენს ტელევიზიებში თუ ვინმე გაასაჩივრებდა, ვთქვათ, სიძულვილის ენის საკითხს ან ტერორიზმისკენ მოწოდებას, არ დააკმაყოფილებდით ამ საჩივარს და ამით მორჩებოდა, დაიხურებოდა საკითხი ევროკომისიის მოთხოვნის შესაბამისად. შემდეგი ინსტანცია იქნება მარეგულირებელი კომისია და ვინაიდან მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებები ყველა ავტომატურად შეიძლება, გასაჩივრდეს სასამართლოში, ასევე დაემატება სასამართლო ინსტანცია. ასე რომ, ეს არის ევროპული სტანდარტი, რომელიც ჩვენთან მოქმედებს და ჩვენ ვხედავთ, ყველა ვინც ეწინააღმდეგება ასეთ ცვლილებებს, ეწინააღმდეგება ევროკავშირში ინტეგრაციას და მეორე, მხარს უჭერს სიძულვილს, ტერორიზმს და უხამსობას"...**



# ასე ხვდებით „სტუმრებს" ზემო იმერეთში?

**ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელს სოფო ჯაფარიძესა და „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებს სოფელ ჭორვილას მოსახლეობამ გზა გადაუკეტა და კვერცხები დაუშინა.**

**აღნიშნულის გამო ადგილზე მოსახლეობასა და აქტივისტებს შორის ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას, რომელიც შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მოსახლეობამ მათ კვერცხებიც დაუშინა. ადგილზე საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული. მესამე პრეზიდენტის წარმომადგენლის სოფო ჯაფარიძის ინიციატივით, აქტივისტები გუშინ ევროპის მოედანზე შეიკრიბნენ და ჭორვილისკენ დაიძრნენ...**

# ნინია კაკაბაძე: ეს ქალი ნაციონალების კუზოზე, რაღაც ბოლო ლურსმანივით არის



**„ეს ქალი „ნაციონალების კუზოზე", რაღაც ბოლო ლურსმანივით არის",** – ამის შესახებ ნინია კაკაბაძე მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენლის, სოფო ჯაფარიძის შესახებ წერს.

კაკაბაძე სოციალურ ქსელში აქვეყნებს ფოტოს, სადაც „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები ავტოკოლონებით რესპუბლიკის მოედნიდან ჭორვილაში მიემართებიან. **„ბოდიში მომითხოვია და ეს ქალი ნაციონალების კუზოზე, რაღაც ბოლო ლურსმანივით არის!"** – წერს ნინია კაკაბაძე.



# მეგის ქარდავა სასამართლო დარბაზიდან გააძევეს!

**ბრალდებულმა სერგო თეთრაძის წამების საქმის განმხილველი მოსამართლეების აცილება მოითხოვა და სასამართლო შემადგენლობას შეურაცხყოფა მიაყენა.**

დაცვის მხარე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. რაც შეეხება თავად ბრალდებას, ქარდავას ადვოკატი მას „გამოგონილს" უწოდებს. ქართულმა სასამართლომ მეგის ქარდავა პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამების ორგანიზებისთვის ერთხელ უკვე გაასამართლა, თუმცა სამშობლოში ექსტრადიციის შემდეგ ქარდავამ მის წინააღმდეგ აღძრული საქმეების თავიდან განხილვა მოითხოვა და მას მოწმეების გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა პირადად მიეღო. ახლა ქარდავას პროცესზე დასაბრუნებლად სასამართლოსთვის ბოდიშის მოხდა მოუწევს.

# მეოთხე ქვეითი ბრიგადა 19 წლისაა

**საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის მე-4 ქვეითი ბრიგადა 19 წლისაა. პირად შემადგენლობას ბრიგადის დაარსების დღე თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალმა, ბრიგადის გენერალმა როლანდ ძნელაძემ მიულოცა. სტუმრებმა და ბრიგადის ხელმძღვანელმა პირებმა ტერიტორიაზე არსებული გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს.**

ღონისძიების ფარგლებში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის სამხედრო მოსამსახურეები საშტატო იარაღით დაჯილდოვდნენ. სამხედროებს უწყებრივი მედლები – „გენერალი კვინიტაძე", „უმწიკვლო სამსახურისთვის", „გიორგი ანწუხელიძე", „გენერალი მაზნიაშვილი", „სამშობლოსათვის თავდადებული" და „საბრძოლო იარისთვის" გადაეცათ. გაიმართა სპორტული შეჯიბრიც, სადაც გამარჯვებულ ქვედანაყოფს ბრიგადის გარდამავალი თასი, მედლები და სერტიფიკატები გადაეცა.

ბრიგადის იუბილესთან დაკავშირებით, სამხედროების ოჯახის წევრებისა და ვაზიანის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის „ღია კარის დღეც" მოეწყო. მათ დაათვალიერეს ბრიგადის ტექნიკა და აღჭურვილობა. ღონისძიება გმირთა ხეივანში ხეების დარგვით დასრულდა.



# კულტურის სამინისტრომ 12 მუსიკალურ ორგანიზაციას 65 ახალი მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა დაუფინანსა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, აქტიურად გრძელდება თბილისსა და რეგიონებში მოქმედი მუსიკალური ორგანიზაციებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების განახლება, რაც გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ არ მომხდარა, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს**

უწყების ცნობით, ამჯერად სამინისტრომ კონკურსის – „სამუსიკო სასწავლებლებში ინსტრუმენტების განახლება" – ფარგლებში თბილისსა და რეგიონებში მოქმედ 12 მუსიკალურ ორგანიზაციას მუსიკალური ინსტრუმენტების განახლება დაუფინანსა.

სამინისტროს ინფორმაციით, კონკურსისათვის გამოყოფილი 300 000 ლარით, ახალი მუსიკალური ინსტრუმენტებით აღიჭურვება ხუთი ორგანიზაცია, ნაწილობრივ დაფინანსდა შვიდი სასწავლებელი.

მუსიკალური ინსტრუმენტების განახლება სრულად დაუფინანსდა: ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის №1 სამუსიკო სკოლას; ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებას; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლას; ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას; ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებას.

ინსტრუმენტები ნაწილობრივ განახლდება შემდეგ მუსიკალურ სასწავლებლებში: ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის №2 სამუსიკო სკოლა; ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა; სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი; ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება; ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა; ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება; ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ზესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება.

**მიღებული დაფინანსებით ორგანიზაციები შეიძენენ 65 მუსიკალურ ინსტრუმენტს, კერძოდ: როიალი (6 ცალი), ფორტეპიანო (17 ცალი), ელექტროფორტეპიანო (1 ცალი), გიტარა (3 ცალი), ვიოლინო (12 ცალი), ფლეიტა (6 ცალი), ფანდური (9 ცალი), სალამური (4 ცალი), ჩონგური (5 ცალი), საქსოფონი (1 ცალი), კლარნეტი (1 ცალი).**

როგორც ცნობილია, კულტურის სამინისტროს ინიციატივით, სამინისტროს მიერ 2022 წელს გამოყოფილი 400 000 ლარით, საქართველოს შვიდ რეგიონში, 11 მუსიკალურ გაერთიანებაში შემავალი 19 სამუსიკო სკოლისთვის შეიძინეს 83 ინსტრუმენტი. ხოლო 2021 წელს, ამავე კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი 700 000 ლარით, ექვს რეგიონში, დაფინანსდა 13 ორგანიზაცია და შეიძინეს 160 ახალი ინსტრუმენტი.

კალათბურთი



# ევროპულ ტალღაზე

**ხუთწლიანი პაუზის შემდეგ საერთაშორისო საკლუბო სარბიელზე დაბრუნების პატივი რომ ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ თსუ-ს ხვდა წილად და ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირის ბენფიკასთან მარცხის შემდეგ გამოეთიშა, უკვე გაუწყეთ.**

და აი, ჩამოქვეითებული სტუდენტური გუნდი ევროპის თასის სასტარტო შეხვედრის გასამართავად გერმანიაში გოტინგენს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის – გიორგი ცინცაძის გარეშე ეწვია, რომლის ნაცვლადაც რატი ანდრონიკაშვილი დაიმატა.

სტუმრები ბოლო წამებამდე ინარჩუნებდნენ გამარჯვების შანსს, მაგრამ ღირსეულ ბრძოლაში მაინც დამარცხდნენ – 81:86. **ყველაზე შედეგიანები:** ბროსკინი – 19 ქულა, ფევაძე – 18 ქულა და ჯინჭარაძე – 14 ქულა, 11 მოხსნა.

25 ოქტომბერს თბილისელები კვიპროსულ კერავნოსს უმასპინძლებენ, რომელმაც იტალიაში ვარეზესთან წააგო – 75:90.

იმავე დღეს ევროლიგაში შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა **თორნიკე შენგელიამ**, რომელმაც ბოლონიის ვირტუსს შინ ბერლინის ალბასთან მოაგებინა – 87:76. 27 წუთში მოგროვებული 26 ქულა, 4 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა – ასაეთია მატჩის MVP-ის პირადი მონაგარი (სარგებლიანობის კოეფიციანტი – 32).

# საფეხბურთო მოზაიკა

**სიმბოლურია, რომ ქართული ფეხბურთის მომავალს ერთ დღეს ერთმანეთის მიყოლებით მოუწია ქომაგთა წინაშე წარსდგომა და საამაყოა, რომ ყველაზე უმცროსებმა წარმატებით შეასრულეს პროგრამა – მინიმუმი, ხოლო მათმა შემდგომმა ასაკობრივმა ჯგუფმა ღირსეულად ითამაშა უშუალო კონკურენტის წინააღმდეგ და ოდნავ მაინც რომ გამართლებოდა, აქტივს ერთ ქულაზე მეტს შემატებდა.**

## 17-წლამდელები

**მას შემდეგ, რაც ქუთაისში გამართული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტზე გიორგი ჩიტაურის გაწვრთნილი გუნდი ავსტრიასთან დამარცხდა – 1:2, ბევრმა მასპინძლები ნაადრევად ჩამოწერა, მაგრამ...**

ბიჭები მალევე გამოერკვნენ ფსიქოლოგიური სტრესიდან და მეორე ტურის ყოფნა-არყოფნის მატჩი ასეთივე ანგარიშით მოუგეს დანიელებს, ხოლო ელიტ-რაუნდის საგზურის ბედი ლიეტუვასთან დასკვნითმა შეხვედრამ გადაწყვიტა, რომელსაც აქამდე ორივე ბრძოლა წაგებული ჰქონდა. ჭაბუკმა ჯვაროსნებმა ვერ შეინარჩუნეს დებიუტშივე მოპოვებული უპირატესობა, ბოლო წუთებზე კინაღამ საბედისწერო გოლი გაუშვეს – 1:1 და სათუო გახადეს შემდგომ ეტაპზე გასვლა, მაგრამ ბედად ალპური სახელმწიფოს შვილებმა ორბურთიანი ჩამორჩენა გაუბათილეს სკანდინავიელებს – 2:2 და, გარდა იმისა, რომ თვითონაც გამსვლელი ქულით დაიკავეს წამყვანი პოზიცია, ჩვენც მწვანე შუქი აგვინთეს სანუკვარი მეორე ადგილისკენ, რადგან ტოლი ქულების დროს უპირატესობა დანიელებთან პირად შეხვედრაში გამარჯვებამ მოგვანიჭა.

**ავსტრია – 7, საქართველო, დანია – 4-4, ლიეტუვა – 1 ქულა**.

გათამაშების დებულების თანახმად, პირველადგილოსნებმა ავტომატურად დაიჯავშნეს გაისად კვიპროსში გასამართავი ფორუმის საგზური, ხოლო ჯგუფური ტურნირის 5 საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეი-ოფებში გააგრძელებს ბრძოლას ელიტ-რაუნდში მოსახვედრად. ვიმედოვნებთ, მათ შორის ჩვენი გუნდიც იქნება.

## 21-წლამდელები

**უკვე გაუწყეთ, რომ წლევანდელი საშინაო ევროპული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ რამაზ სვანაძეს ფორსმაჟორულ ვითარებაში მოუწია ახალი ახალგაზრდული ნაკრების ფორმირება, რომელმაც, მართალია, ჯგუფის აუტსაიდერებთან მოპოვებული გამარჯვებებით დაიწყო მორიგი საკვალიფიკაციო ბატალიები, მაგრამ შემდეგ ბათუმში ფავორიტ ნიდერლანდებთან დამუხრუჭდა.**

მდგომარეობის გათვალისწინებით, დამატებითი დატვირთვა შეიძინა იქვე უშუალო კონკურენტ შვედეთთან დანიშნული პრინციპული დუელის შედეგმა.

მასპინძლებს ცდა არ დაუკლიათ სტუმართა დასაჩოქებლად, რასაც მათ კარში შესრულებული 10 (1) ზუსტი დარტყმაც მოწმობს, მაგრამ კვერნაძისა და მის პარტნიორთა ძალისხმევა ამჯერად ამაო გამოდგა – 0:0. **ლიდერთა ჯგუფი:** ნიდერლანდები – 12, საქართველო, შვედეთი – 7-7, მოლდოვა – 6 ქულა. დავძენთ, რომ ჩვენს ჯგუფში თამაშობენ აგრეთვე ჩრდილოეთ მაკედონია და გიბრალტარი.

ქართულ ფეხბურთზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ნაპოლის, რადგან მაშინ, როცა მისმა ლიდერმა ხვიჩა კვარაცხელიამ სანაკრებო მატჩების შემდეგ სამშობლოში ჯვარი დაიწერა, იტალიის მოქმედი ჩემპიონის მეორე სიმბოლომ ვიქტორ ოსიმენმა ბარძაყის კუნთის ტრავმა მიიღო და მინიმუმ ერთი თვით მოუწევს მკურნალობა. ეს ამბავი ნიგერიის ნაკრების ამხანაგურ მატჩში მოხდა. ამ პერიოდში რუდი გარსიას გუნდს თამაშები უწევს როგორც სერია – ა-ში (ვერონა, მილანი), ისე ჩემპიონთა ლიგაში (ბერლინის უნიონი – ორჯერ).კამპანიელთა ფრანგ თავკაცს კლუბის პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტისისგან სწორედ აღნიშნული შეხვედრების სახით მიეცა პოსტის შესანარჩუნებლად უკანასკნელი შანსი, ასე რომ, ოსიმენის დროებითი დაკარგვა გარსიას სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს. სხვათა შორის მისმა შესაძლო შემცვლელმა ანტონიო კონტემ შეთავაზება უარყო.

და ბოლოს: მუნდიალ – 2026-ის სამხრეთამერიკულ შესარჩევ ტურნირში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა არგენტინამ პერუში – 2:0, მისი ლიდერი მესი კი ტრავმის მოშუშების შემდეგ ისევ დაფრინავს და ამჯერად დუბლი შეასრულა მაშინ, როცა ბრაზილია ურუგვაიში 0:2 დამარცხდა და ნეიმარმა ტრავმა მიიღო.



# ისრაელი ღაზას სექტორს ინტენსიურად ბომბავს

**ისრაელის ავიაციის მიერ ღაზის სექტორში ქალაქების, ხან იუნისის და რაფას დაბომბვას 40-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.**

ცხრა ადამიანი, მათ შორის შვიდი ბავშვი დაიღუპა საცხოვრებელი სახლის დაბომბვისას ხან იუნისში. ადგილობრივი მედიის ცნობით, 30-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა ისრაელის ავიაიერიშების შედეგად სამხრეთ ღაზაში მდებარე ქალაქ რაფაში. გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის სამხედრო თვითმფრინავებმა ასევე დაბომბეს სახლი რაფაში, ტალ ალ-სულთანის რაიონში.

# ნადგურდება „ჰამასის“ ობიექტები

**ისრაელის თავდაცვის ძალებში აცხადებენ, რომ გუშინ ღამის განმავლობაში „ჰამასის“ ასობით ინფრასტრუქტურული ობიექტი გაანადგურეს.**

სამიზნეებს შორის იყო რაკეტების გაშვების პუნქტები, გვირაბები, სადაზვერვო ინფრასტრუქტურა, ოპერატიული შტაბები და სათავო ოფისები. ამასთან, ისრაელის თავდაცვის ძალების განცხადებაში აღნიშნულია, რომ ღამის განმავლობაში შეძლეს ათზე მეტი ტერორისტის ლიკვიდაცია.

# თურქეთი პალესტინაში დაღუპულებს გლოვობს



თურქეთის პრეზიდენტმა, **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** თურქეთში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

**„როგორც თურქეთი, ჩვენ ვგრძნობთ იმ დიდ ტკივილს, რომელსაც განიცდიან ჩვენი პალესტინელი ძმები. ჩვენი პატივისცემის ნიშნად, ათასობით მოწამის მიმართ, რომელთა უმეტესობა ბავშვები და უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქეები არიან, ჩვენს ქვეყანაში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული“,** – წერს ერდოღანი „ტვიტერზე“.

# პალესტინის მხარდამჭერი აქციები



**ათენში პალესტინის მხარდამჭერ აქციაზე პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. დემონსტრაციაში დაახლოებით 10 000 ადამიანი მონაწილეობდა.**

აქციის მონაწილეები ისრაელის საელჩოსკენ მსვლელობას ცდილობდნენ, თუმცა პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა და აქციის დაშლა მოახერხა. დაკავებულების ან დაშავებულების შესახებ ინფორმაცია ამ დრომდე არ გავრცელებულა. შეგახსენებთ, საბერძნეთმა „ჰამასთან“ ომში მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა ისრაელს.

* * *

**პოლიციამ გამოიყენა წიწაკის სპრეი და წყლის ჭავლი ათასობით დემონსტრანტის დასაშლელად, რომლებიც თურქეთის უდიდეს ქალაქში, სტამბოლში, ისრაელის საკონსულოს შენობაში შესვლას ცდილობდა.**

სტამბოლის გუბერნატორის განცხადებით, დაკავებულია ხუთი ადამიანი. „როიტერი“ წერს, რომ საკონსულოს ირგვლივ უსაფრთხოების ძალები არიან განთავსებული, მობილიზებულია ასობით პოლიციელი და დაახლოებით 10 წყლის ჭავლის მანქანა. ისრაელის ეროვნული უშიშროების საბჭომ გააფრთხილა ისრაელელები თურქეთში მოგზაურობის საფრთხის შესახებ და მოუწოდა თურქეთში მყოფ ისრაელის მოქალაქეებს, რაც შეიძლება მალე დატოვონ თურქეთი. ისრაელის ეროვნული უშიშროების საბჭოს მიმართვის შემდეგ, ისრაელის ავიახაზებმა განაცხადეს, რომ დანიშნავდნენ ფრენებს სტამბოლიდან თანამემამულეებისთვის, რომლებსაც სურთ თურქეთის დატოვება.

* * *

**პრაღაში პალესტინის მხარდამჭერთა მსვლელობამ მთავრობის შენობამდე მიაღწია. ჩეხეთის დედაქალაქში დემონსტრანტები ძველი ქალაქის მოედანზე, იან ჰუსის ძეგლთან შეიკრიბნენ, რის შემდეგაც სამთავრობო კვარტალში გადავიდნენ.**

დემონსტრანტებს ეჭირათ პალესტინის დროშები და ბანერები წარწერით – „ოკუპაცია არ არის მშვიდობა“, „ისრაელი კლავს“ და „თავისუფალი პალესტინა“. სამართალდამცავებმა აღნიშნეს, რომ დემონსტრაცია არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

(პირველი გვერდიდან) თუმცა თუ დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების სიფრთხილე კიდევ შეიძლება, გავიგოთ, აფხაზურ საზოგადოებაში, საექსპერტო წრეებსა და მედიაში გამეფებული აბსოლუტური რწმენა იმისა, რომ აფხაზეთს ყარაბაღის ბედი არც ერთ შემთხვევაში არ ემუქრება, სრულიად გაუგებარია.**

ამ რწმენას იზიარებს, მაგალითად, ჟურნალისტი ინალ ხაშიგიც, რომელსაც დასტურად შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: 1) რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა და ოფიციალურად იკისრა რესპუბლიკის უსაფრთხოების დაცვა, განსხვავებით ყარაბაღის შემთხვევისგან;

## გადასცემს თუ არა ყარაბაღი ესტაფეტას აფხაზეთს?



# გაკვეთილი ჭკვიანი ოკუპანტისა და მშიშარა ქართველებისთვის!..

**რუსეთმა, ფაქტობრივად „ჩააბარა“ სტეპანაკერტი, რომელსაც 30 წელი უმაგრებდა ზურგს. აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში თავი მოიკატუნეს, რომ ეს „ვერ შენიშნეს“.**

2) არსებობს თურქეთის წონადი ფაქტორი და 3) ვლადიმირ პუტინს სოჭში, თავისი „აგარაკის ზღურბლზე“ ნატოს ხილვა არ სურს.

არგუმენტები თითქოს მყარია და ლოგიკურიც, მაგრამ ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით. მაგალითად, პირველი არგუმენტი – რომ ყარაბაღისგან განსხვავებით, აფხაზეთი რუსეთმა აღიარა და მისი დაცვის ვალდებულებაც აიღო, აშკარა წინააღმდეგობაში მოდის მოსკოვის მიერ 2008 წლის აგრესიის შემდეგ წარმოებულ რეალურ პოლიტიკასა და ორი განუყოფელი ქართული ტერიტორიის – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ შემდგომ აღიარებასთან. კერძოდ, თუ 2008-მდე იგივე რუსეთი განუხრელად აღიარებდა საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტის – საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, 2008-ში მან ორი ქართული რეგიონი გამოყო და დღემდე აგრძელებს ეფექტურ კონტროლს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე. ან, მაგალითად, უკრაინის შემთხვევაში რუსეთი არა მარტო აღიარებდა მის ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, არამედ თავად იყო უკრაინის უსაფრთხოების გარანტორი ბუდაპეშტის 1994 წლის დეკემბრის მემორანდუმით, რომელიც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებასთან უკრაინის მიერთებას უკავშირდებოდა (ბირთვული იარაღის გადაცემის სანაცვლოდ რუსეთმა, ბრიტანეთმა და აშშ-მა უკრაინას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიმართ ძალის ან ძალის გამოყენების მუქარის არგამოყენების, ასევე უკრაინის უფლებების შემლახველი ეკონომიკური იძულების გამოუყენებლობის გარანტიები მისცეს). შედეგად რა? – რუსეთმა უმარტივესად გაიწვია უკან ადრე მიცემული გარანტიები, ახლა კი საერთოდაც ცდილობს, პირისაგან მიწისა აღგავოს უკრაინული სახელმწიფოცა და უკრაინელი ერიც. თუ კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით, უკრაინის მიმართ რუსული აგრესიის პროცესში მოსკოვმა ჯერ აღიარა ოკუპირებული უკრაინული მიწების „დამოუკიდებლობა“, ხოლო შემდეგ დადგა ბანალურობამდე პროგნოზირებადი შედეგი და ეს მიწები „ნებაყოფლობით“ შევიდნენ რუსეთის იმ იმპერიის შემადგენლობაში, რომლის აღორძინებასაც ახლა პუტინი ცდილობს.

**ხაშიგის მეორე არგუმენტი – რომ მოსკოვმა გადაწყვიტა, არ ეკინკლავოს თურქეთს, რომელიც ბაქოს უმაგრებს ზურგს, „ორმხრივი მოძრაობით“ ხასიათდება: ბაქოსა და ანკარას დიდი ხანია, კარგი ურთიერთობები აქვთ თბილისთან და რბილად რომ ვთქვათ, არ იქნებიან წინააღმდეგი, რეგიონში რუსული გავლენა შესუსტდეს.**

რაც შეეხება ბოლო არგუმენტს – ნატოს გამოჩენას სოჭში პუტინის „აგარაკის ზღურბლზე“, იგი მხოლოდ მიამიტებზეა გათვლილი. კრემლის ეს მითი მოწოდებულია, შენიღბოს და გაათეთროს რუსეთის იმპერიალისტურ-დამპყრობლური პოლიტიკა. საკმარისია, გადავხედოთ, მართლაც ასე ძალიან ეშინია თუ არა პუტინს ნატოსი და როგორ ებრძვის იგი ალიანსის გაფართოებას: უკრაინის ომის შედეგად ხომ ნატოში ნეიტრალური ფინეთიც კი გაწევრდა, რიგშია შვედეთი. ფინეთის გაწევრების შემდეგ რუსეთის საზღვარი ნატოსთან ორზე მეტჯერ – 1 215-დან 2,6 ათას კმ-მდე გაიზარდა და გამოდის, რომ ნატო არათუ სოჭში პუტინის „აგარაკის ზღურბლზე“ ჩამოჯდა, არამედ მის მშობლიურ, უსაყვარლეს ქალაქ პეტერბურგშიც.

გარდა ამისა, თუ თავის პროპაგანდისტულ რიტორიკაში მოსკოვი უკრაინაში ვითომდა ნატოსთან ომობს და დასავლეთთან ლამის ბირთვული ომისთვის ემზადება, მაშინ რატომ გაამიშვლა თავისი ფლანგები ესოდენ საშინელ მტერთან საზღვრებზე? ფაქტები ჯიუტი რამაა. ორიოდ კვირის წინ, სექტემბერში ნორვეგიის შეიარაღებული ძალების მეთაურმა ეირიკ კრისტოფერსონმა განაცხადა, რომ რუსეთმა ამ ქვეყანასთან საზღვარზე საკუთარი შეიარაღებული ძალები 20%-მდე შეამცირა, 2022 წლის თებერვლის მაჩვენებელთან შედარებით. „პუტინი რომ თვლიდეს, რომ რუსეთს საფრთხეს ვუქმნით, ჯარებს უკრაინაში არ გადაისვრიდა იქ ომის საწარმოებლად“, – განაცხადა კრისტოფერსონმა. შემცირდა რუსეთის სამხედრო დაჯგუფება ფინეთთან საზღვარზეც, რომელიც ახლახანს ნატოში გაერთიანდა, თუმცა რუსეთ-ფინეთის საზღვრის სიგრძე გაცილებით მეტია – 1300 კმ. რუსეთის მსგავსი ქცევა ადვილად აბათილებს პროპაგანდისტულ ნარატივს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან რუსეთისთვის ვითომდა მომდინარე საფრთხის შესახებ.

აქ შეგვეძლო, წერტილი დაგვესვა, მაგრამ რუსეთის 2008 წლის შემდგომი პოლიტიკის სრული სურათის აღსაქმელად უნდა გავაანალიზოთ ისიც, თუ როგორ კომენტირებენ მოსკოვში ყარაბაღის პროექტის ლიკვიდაციას. რუსეთი თითს ერევნისკენ იშვერს და ღიად აცხადებს, რომ ყველაფრის მიზეზი პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის სწრაფვაა, რუსეთის ინტერესების საზიანოდ დასავლეთში ეძიოს მეგობრები. სოხუმში ლოცვასავით იმეორებენ, რომ აფხაზეთში არასოდეს ყოფილა, არ არის და არც სამომავლოდ იქნება ანტირუსული განწყობები, ამდენად, თითქოს საშიშიც არაფერია. მაგრამ მოდით, ისევ და ისევ ყარაბაღთან გავავლოთ პარალელი: რუსეთის ვერსიით, დამნაშავე სომხეთია, რომელმაც ფაშინიანი აირჩია, მაგრამ დაზარალდა ყარაბაღი, რომელიც, აზერბაიჯანისა და სომხეთისგან განსხვავებით, ბოლო დრომდე სამხრეთ კავკასიის ამ ნაწილში ყველაზე პრორუსული განწყობების სავანედ რჩებოდა და უსაფრთხოების საკითხშიც მხოლოდ უფროს კრემლელ ძმას ეყრდნობოდა.

* * *

**ამასობაში რუსეთსა და აფხაზეთს შორის თითქოსდა სტაბილურ ურთიერთობებში გადაულახავი წინააღმდეგობებით გამოწვეული ძალზე სერიოზული ბზარები გაჩნდა. მათ შორისაა, კერძოდ, აპარტოტელების თემა, რომელიც აფხაზებს უკვე უახლოეს მომავალში უქადის არა მარტო იმ აბსოლუტური მონოპოლიის დაკარგვას, რომლის დროსაც პრივილეგირებული ეთნოსი ყველა რესურსს აკონტროლებს და დანარჩენი მოსახლეობის ხისტ დისკრიმინაციას ახდენს, არამედ საერთოდაც აფხაზების, როგორც ეთნოსის გაქრობას.**

თუ გარკვეული დროის განმავლობაში თანამედროვე საზომით ამ ველური ეთნოკრატიის მხარდაჭერა მოსკოვის ინტერესებში შედიოდა, ადრე თუ გვიან, ეს თემა აფხაზების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. მოსკოვს ხომ აპარტ-ოტელები არა უბრალო ახირებად სჭირდება: ათასობით ან სულაც ათიათასობით რუსი, რომელიც ამ აპარტამენტებში იცხოვრებს და აფხაზეთში ფულს ჩადებს, კრიტიკულად შეცვლის ადგილობრივ როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ლანდშაფტს და საბოლოო ჯამში, რეგიონს რუსეთის კრასნოდარის მხარის სოჭის რაიონის დანამატად გადააქცევს.

**რუსეთი თითს ერევნისკენ იშვერს და ღიად აცხადებს, რომ ყველაფრის მიზეზი პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის სწრაფვაა, რუსეთის ინტერესების საზიანოდ დასავლეთში ეძიოს მეგობრები. სოხუმში ლოცვასავით იმეორებენ, რომ აფხაზეთში არასოდეს ყოფილა, არ არის და არც სამომავლოდ იქნება ანტირუსული განწყობები, ამდენად, თითქოს საშიშიც არაფერია.**



ამავდროულად, სოხუმი არაშორსმჭვრეტელურად უგულებელყოფს ყარაბაღის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან გაკვეთილებს. კერძოდ, სომხური მხარე ორი ათწლეულის განმავლობაში სიმულირებდა მოლაპარაკებებში კონსტრუქციულ მონაწილეობას, რაც, ბუნებრივია, ამ პროცესის არა მარტო წარუმატებლობას, არამედ აზრს მოკლებულობასაც განაპირობებდა. მოლაპარაკებათა ნულოვანი შედეგის გაგრძელებას წარმოადგენდა ბაქოს მიერ ვითარების „გალღობა“, რომელიც ერთდღიანი ომითა და ჯამში ყარაბაღის „გაუქმებით“ დასრულდა. არადა, კონფლიქტის მოლაპარაკებათა მაგიდასთან მოგვარება რომ მოხერხებულიყო, რეგიონს შესაძლოა, გარკვეული სტატუსიც მიეღო და ყარაბაღიდან სომხების მასობრივი გადინებაც თავიდან ყოფილიყო აცილებული.

ამ თვალსაზრისით აფხაზეთი ყარაბაღის გზას იმეორებს: ისიც, სტეპანაკერტის მსგავსად, დიალოგს სიმულირებს და მხოლოდ რუსეთის იმედადაა. თუმცა სრული ანალოგია აქ ვერ იქნება, რადგან ბაქოსგან განსხვავებით, საქართველო სოხუმსა და ცხინვალთან სადავო საკითხების ძალისმიერი გზით მოგვარებას ნეგატიური რუსული ფაქტორის აღმოფხვრის შემთხვევაშიც კი არ აპირებს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თბილისმა ცალმხრივად აიღო ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ძალის არგამოყენების ვალდებულება და რეგულარულად ადასტურებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების კურსისადმი ერთგულებას.

ყველა კონფლიქტი და ომი, ადრე თუ გვიან, ან შეთანხმებით სრულდება, ან რომელიმე მხარის მიერ დასრულებით. ამდენად, მნიშვნელოვანია, არ დაკარგო ძვირფასი დრო და შესაძლებლობათა ფანჯარა, როცა დიალოგისთვის კარგი სასტარტო პოზიციები გაგაჩნია.

**გასაგებია, რომ მოსკოვი ამ დრომდე იყენებს სოხუმსა და ცხინვალს თბილისისთვის სატყუარად, მაგრამ მსგავსი მდგომარეობა ხომ მუდამ ვერ შენარჩუნდება, მით უფრო – ამჟამინდელი, უკრაინის მიმართ რუსეთის აგრესიით გამოწვეული გლობალური კრიზისის ფონზე. ყარაბაღს რომ დავუბრუნდეთ, ნათელია, რომ გარკვეულ ეტაპზე მან მოსკოვისთვის ფასეულობა დაკარგა: სტეპანაკერტი აღარ იძლეოდა ერევნის პოლიტიკაზე ეფექტური ზეგავლენის შესაძლებლობას და იმავდროულად აგრძელებდა ბაქოსა და ანკარასთან მოსკოვის ურთიერთობების წამლვას.**

**და აი, აქ დღის წესრიგში მთელი აქტუალურობით დგება კითხვა: წარმოადგენენ კი კრემლისთვის იმდენად დიდ ფასეულობას „დამოუკიდებელი“ სოხუმი და ცხინვალი, რომ ყარაბაღის მსგავსად ოდესმე ისინიც არ „გაყიდოს“?**

**რაჟდენ ქაჯაია**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჯუმშუდ ემინაგაროვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

მარნეული, ს. ალგეთი,(საკადასტრო კოდი: 83.03.24.196 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 100008.58 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93471023;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 934710

6. **მოვალე:** რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), თეთრიწყარო, ს. წინწყარო;
მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო;
ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93471023; ლოტის ნომერი: 934710).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 3 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სამეიე სოჰეილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034 (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.034 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 194131.62 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93481223;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 934812

6. **მოვალე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;
შპს „მერქანი“ (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
შპს „ლ&გ“ (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;
მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;
სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა“, ბინა №59.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93481223; ლოტის ნომერი: 934812).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 3 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რაშად ზეინალოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რაშად ზეინალოვი (პ/ნ 28001085834), მარნეული, ს. პატარა ბეგლიარი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

მარნეული, ს. პატარა ბეგლიარი (საკადასტრო კოდი: 83.04.14.117 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21159.86 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93483323;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 934833

6. **მოვალე:** რაშად ზეინალოვი (პ/ნ 28001085834), მარნეული, ს. პატარა ბეგლიარი;
აიტან ზეინალოვა (პ/ნ 28001106840), მარნეული, ს. პატარა ბეგლიარი

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93483323; ლოტის ნომერი: 934833).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 3 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გაგა ჯანჯღავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გაგა ჯანჯღავა (პ/ნ 58001012798), ხობი, სოფელი ქვემო ქვალონი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ხობი, სოფელი ქვემო ქვალონი (საკადასტრო კოდი: 45.14.24.045 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთის ნაწილზე (489.16 კვ.მ.) რეგისტრირებულია სერვიტუტი.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 35927.19 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93483223;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 934832

6. **მოვალე:** გაგა ჯანჯღავა (პ/ნ 58001012798), ხობი, სოფელი ქვემო ქვალონი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93483223; ლოტის ნომერი: 934832).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 3 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ირინა ბოლქვაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირინა ბოლქვაძე (პ/ნ 61009010313), წალკა, სოფელი სამება, მე-10 ქუჩა №17

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წალკა, სოფელი სამება, მე-10 ქუჩა №17 (საკადასტრო კოდი: 85.27.22.194 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17585.54 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93472423;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 934724

6. **მოვალე:** ირინა ბოლქვაძე (პ/ნ 61009010313), წალკა, სოფელი სამება, მე-10 ქუჩა №17;
ზაურ ირემაძე (პ/ნ 61004013758), წალკა, სოფელი სამება, მე-10 ქუჩა №17.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93472423; ლოტის ნომერი: 934724).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 3 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბადრი როგავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბადრი როგავა (პ/ნ 19001076905), ზუგდიდი, ს. ახალსოფელი, ალ. ყაზბეგის ქ. №57

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ზუგდიდი, ს. ახალსოფელი (საკადასტრო კოდი: 43.11.44.127 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 49640.84 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93472623;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 934726

6. **მოვალე:** ირაკლი როგავა (პ/ნ 19001093180), ზუგდიდი, ს. ახალსოფელი, ალ. ყაზბეგის ქ. №57.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93472623; ლოტის ნომერი: 934726).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 3 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ახმედ ახმედოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ახმედ ახმედოვი (პ/ნ 36101057364), საგარეჯო, ს. ზემო ლამბალო, მე-16 II შეს. №4

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილის ქუჩა №9, სართული 5, ბინა №44 (საკადასტრო კოდი: 55.12.00.000.176.01.044 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13498.01 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93483123;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 934831

6. **მოვალე:** ახმედ ახმედოვი (პ/ნ 36101057364), საგარეჯო, ს. ზემო ლამბალო, მე-16 II შეს. №4.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის №71271HZP93483123; ლოტის ნომერი: 934831).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 3 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ეკატერინა მიქაუტაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბოს რაიონი, სოფელი გუმბრა (საკადასტრო კოდი: 29.09.41.395 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24581.36 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 20 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 3 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93472323;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 934723

6. **მოვალე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58;
ოთარ მიქაუტაძე (პ/ნ 58001008406), ხობი, გოგებაშვილის 52

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93472323; ლოტის ნომერი: 934723).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 3 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# კვიპროსზე უძველესი ქართული მონასტრის კვლევები იწყება

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ აზნაურაშვილი კვიპროსის რესპუბლიკის ტრანსპორტის, კომუნიკაციებისა და შრომის სამინისტროს სიძველეთა დეპარტამენტის დირექტორს გიორგოს გეორგიუს შეხვდა.**



შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს კვიპროსის რესპუბლიკაში, სოფტადესში, ქართულ ნაეკლესიარზე არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობის შედეგები, რომელსაც სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და პროფესორ ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით ქართველ არქეოლოგთა ჯგუფი ახორციელებს.

მხარეები შეთანხმდნენ მომავალ წელს სოფტადესის ქართული ნაეკლესიარის კონსერვაციისა და ძეგლის გადახურვის სამუშაოების დაწყების თაობაზე. შეხვედრაზე ასევე განიხილეს კვიპროსში კიდევ ერთი ქართული სამონასტრო კომპლექსის – წმინდა საბას მონასტრის (სადაც ქართველი სასულიერო პირები XIV საუკუნის დასაწყისიდან მოღვაწეობდნენ) შესწავლის საკითხი და შეთანხმდნენ, რომ მომავალ წელს წმინდა საბას მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ კვლევით სამუშაოებს დაიწყებენ.



# ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი დაიწყო

**დღეიდან საქართველოში ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი დაიწყო. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ბიძინა კვერნაძის სახელობის ფესტივალი, წელს უკვე მეორედ იმართება.**

ფესტივალის ფარგლებში ოთხი კონცერტია დაგეგმილი თბილისსა და თელავში. დღეს ფესტივალის მსოფლიოში აღიარებულმა საოპერო ვარსკვლავმა, იანო ალიბეგაშვილმა, სოლო კონცერტით კომპოზიტორ ნიკა ნიკვაშვილთან და სიმებიან ორკესტრთან ერთად.

# ხელოვნურმა ინტელექტმა უძველესი ხელნაწერის გაშიფვრა დაიწყო



**მეცნიერებმა გაუხსნელი ჰერკულანუმის გრაგნილიდან ერთი სიტყვის წაკითხვა შეძლეს. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით მოხერხდა, კონკურსის „ვეზუვის გამოწვევა“, რომლის მიზანიც გრაგნილებთან დაკავშირებული აღმოჩენების დაჩქარებაა.**

ჰერკულანუმის გრაგნილები ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად, ქალაქ ჰერკულანუმში არსებული დანახშირებული ხელნაწერებია. ისინი ჩვენი წელთაღრიცხვით 79 წლიდან ვულკანური ფერფლის ქვეშ ინახებოდა, სანამ 1700-იან წლებში მუშამ არ აღმოაჩინა, რომელიც ჭას თხრიდან.

**1 100-მდე გრაგნილი იპოვეს შენობაში, რომელიც მეცნიერების ვარაუდით იულიუს კეისრის სიმამრს ეკუთვნოდა. მათი წაკითხვა აქამდე შეუძლებელი იყო, რადგან გასწორებისას გრაგნილები ტყდებოდა. თუმცა, ნებრასკას უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების მიმართულების სტუდენტმა ლუკ ფარიტორმა, რომელიც კონკურსში მონაწილეობდა „ვირტუალური გაშლის“ ტექნიკის გამოყენებით ერთ-ერთ გრაგნილზე იპოვა ბერძნული სიტყვა ,,πορφυρας“, რაც იასამნისფერს ნიშნავს.**

„ვირტუალური გაშლა“ კომპიუტერული ტომოგრაფიით იწყება. ეს პროცედურა თითოეული დახვეული პაპირუსის სკანირების საშუალებას იძლევა. შემდეგ მეცნიერები სკანის ხაზების მიხედვით გრაგნილს ვირტუალურად აბრტყელებენ და ხელოვნურ ინტელექტს იყენებენ, რომელსაც ფურცელზე მელნის პოვნა შეუძლია. ეს ტექნოლოგია კენტუკის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბრენტ სილსმა 20 წლის წინ შექმნა.

# ,,ბენქსი: ლეგენდის დაბადება“

**„ბენქსი: ლეგენდის დაბადება“ – ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი, 5 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენას მასპინძლობს. ექსპოზიცია ბრიტანელი გრაფიტის ხელოვანის შემოქმედებით გზას ასახავს. ექსპოზიცია გამოფენის კურატორის, სტივ ლაზარიდისის ექსკლუზიურ ფოტო და ვიდეომასალას აერთიანებს.**

დამთვალიერებელი ბრიტანელი ლორდის, ედვარდ ჩერჩილის კერძო კოლექციიდან ბენქსის ორიგინალ ნამუშევრებსაც იხილავს.



# ამაზონის მდინარეები დაშრობის პირასაა



**ბრაზილიაში, ამაზონის ტყის მდინარეებში ბოლო 121 წლის განმავლობაში წყლის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა. ამის მიზეზი რეკორდული გვალვაა, რომელმაც გავლენა იქონია ათასობით ადამიანზე და ჯუნგლების ეკოსისტემა დააზიანა.** მაგალითად, ქალაქ მანაუში, მდინარეების რიო ნეგრო და ამაზონი შერწყმის ადგილას, წყლის დონე 13,59 მეტრზე დადგინდა, როდესაც შარშან ეს მაჩვენებელი 17, 60 მეტრი იყო. მდინარეებში წყლის დონის ვარდნის გამო დარღვეულია ამაზონში წყლის ტრანსპორტის მიმოსვლა, რის გამოც შორეულ სოფლებში საკვებისა და წყლის მიწოდების ჯაჭვი დაირღვა. ამასთან, წყლის მაღალი ტემპერატურის გამო 100-ზე მეტი მდინარის დელფინი დაიხოცა.

# ,,მიდიოდა მატარებელი“ ევროპარლამენტარებისთვის...

**ასოზით ევროპარლამენტარი, რომლებიც ბრიუსელიდან სტრასბურგში, ევროპარლამენტის სესიაზე მიემგზავრებოდნენ, პარიზის დისნეილენდში აღმოჩნდნენ.**



დეპუტატები მატარებლით მგზავრობდნენ. როგორც გაირკვა, საფრანგეთის რკინიგზის კომპანიაში შეცდომა დაუშვეს და მატარებელი სტრასბურგის ნაცვლად მარნ-ლა-ვალეს სადგურზე აღმოჩნდა, რომელიც გასართობ პარკს ემსახურება. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს დისნეილენდში გასეირნების საშუალება არ მიეცათ, რადგან შეცდომა მალევე გამოსწორდა და მატარებელი სტრასბურგში ჩავიდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
,,კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 23 ოქტომბერს

**ოფიციალური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6719; ევრო - 2.8215;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2629;
100 რუბლი - 2.6621; თურქული ლირა - 0.0967;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5732;
1000 სომხური დრამი - 6.5770

**ამინდი 20 ოქტომბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +20 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე +20 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge